№ 96
(11 245)
4 – 7 დეკემბერი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**იყიდება ქართული სპორტი. იყიდება ნაწილ-ნაწილ...**

# აანთეთ წითელი შუქი!

## საქართველოს რკინიგზას გადაუწყვეტია გაყიდოს სპორტული ბაზები, მაგრამ თანხმობას სპორტის დეპარტამენტიდან ელოდება...

სპორტის დეპარტამენტში ოფიციალური წერილი მიიღეს, რომელშიც საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა იტყობინება, რომ გადაწყვეტილი აქვთ გაყიდონ ყველა ობიექტი, მათ შორის სპორტული ბაზები, რომლებსაც უშუალო კავშირი არა აქვს რკინიგზის მუშაობასთან. მოკლედ, თავიდან იშორებენ სოციალური დანიშნულების ნაგებობებს და ეს სულაც არ არის გზის ხელმძღვანელების ახირება – საქმე მოითხოვს ასე, მაგრამ გააჩნია, ვის ხელში გადავა ეს ქონება...

სპორტის დეპარტამენტის საგანგებო კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარის მოადგილე თედორე გურგენიძე ხელმძღვანელობს, ამას წინათ, სხდომაზე განიხილა რკინიგზის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და კონკრეტულად იმსჯელა თითოეულ მათგანზე, სამტრედიასა და ქუთაისში კი იურისტი ი. ხუციშვილიც მიავლინა საკითხის ადგილზე შესასწავლად.

გუშინწინ კვლავ შეიკრიბა კომისია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე „ლოკომოტივისა“ და თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები.

ი. ხუციშვილმა იურიდიულად დაასაბუთა, რომ რკინიგზელთა სპორტული ბაზების გასხვისებისათვის არ არსებობს საფუძველი და სამოქალაქო კოდექსიდან შესაბამისი მუხლიც მოიშველია. ამასთან, ითქვა ისიც, რომ თუ ეს ბაზები გაიყიდება, მისი ფუნქციაც შეიცვლება და ათასობით მოზარდი ქუჩაში აღმოჩნდება. აღარაფერს ვამბობთ იმ დანაკლისზე, რითაც, საერთოდ, ქართული სპორტი დაზარალდება.

სპორტკლუბ „ლოკომოტივს“ დაევალა წარმოადგინოს გადაწყვეტილების დასაბუთებული ვარიანტი, რის საფუძველზე, ზემოაღნიშნული კომისიის გავლით, დეპარტამენტის ხელმძღვანელობა მოითხოვს შეჩერდეს რკინიგზელთა სპორტული ბაზების პრივატიზება. დარჩეს იგი უშუალოდ იმ კოლექტივებს, რომლებიც ათეული წლებია ბავშვთა სპორტულ დაოსტატებას ემსახურებიან, და ბოლო 8 წელიწადია თავადვე უვლიან ამ ბაზებს.

XI თვის მონაგარი

## ნაადრევად დამთავრებული სპორტული წელიწადი

ქართული სპორტის ისტორიაში ფაქტობრივად სპორტული წელიწადი პირველად დასრულდა ნოემბერში. საქმე ისაა, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს სპორტსმენთა სამივლინებო თანხების სესხად აღების ყოველნაირი წყარო ამოეწურა და ახლა ერთთავად იმის ცდაშია, ძველი ვალები, რომლებიც ბიუჯეტიდან მისაღები ფულის იმედად აიღო, როგორ დაფაროს.

ხომ გახსოვთ, იყო დრო, როცა შრომით წარმატებებს, ვადამდე და გადაჭარბებით გეგმების შესრულებას უპატაკებდნენ ხოლმე სამშობლოს საახალწლოდ. ახლა ის დრო გაგვახსენდა, როცა საქართველოს სპორტსმენთა წლევანდელი თერთმეტი თვის მონაგარს გადავხედეთ. არა, არანაირი ვალდებულება ქართული სპორტის მესვეურებს არ აუღიათ, ის დრო წარსულში გადაბარგდა, უბრალოდ, მოხდა ისე, რომ შარშან მოპოვებული მედლების საერთო რაოდენობას სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში, წლევანდელმა თერთმეტი თვისამ გადააჭარბა. არადა, ეს წარმატებები შარშანდელთან შედარებით მოპოვებულია გაცილებით უარეს ფინანსურ პირობებში. ყველაფერი კეთდებოდა საიმისოდ, რომ ჩვენს ათლეტებს როგორმე მიეღოთ მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებებში, ოღონდ ეგაა დაგროვდა ვალები, სახელმწიფო კი ეკონომიკური კრიზისის მოშველიებით ამშვიდებს ყველა მოვალეს. ახლა საკითხავი ისაა, გაისად რა იქნება...

ნოემბრის თვე ისე, როგორც მთელი წელიწადი, სამბისტებმა კიდევ ერთი თავიანთი ბრწყინვალე წარმატებებით დაავგვირგვინეს. მანამდე რამდენიმე დღით ადრე ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობაზეა მოპოვებული ერთი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი. ნოემბერში თუ ვინმემ განსაკუთრებული სიხარული მოუტანა სპორტის ქომაგებს, ისევ და ისევ ჩვენი, მართლაც რაინდი მკლავჭიდელი ბიჭები იყვნენ. წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მათი ბრწყინვალე წარმატება იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ ქართველ ოსტატთა ხელოვნება მსოფლიოს სტანდარტებს არა თუ უტოლდება, ერთგვარი მეტრიც ხდება. ორგანიზაციულ საკითხებში პრობლემების მიუხედავად, ურიგოდ არ უასპარეზიათ საქართველოს წარგზავნილებს ათლეტიზმში მსოფლიო ჩემპიონატის სარბიელზე. ცხადია, საამაყო იყო, რომ ჩვენმა ძალოსნებმა გიორგი ასანიძემ მსოფლიო ჩემპიონატში პლანეტის ახალი რეკორდით დაასრულა ასპარეზობა. აუცილებლად აღსანიშნავია იუნიორთა მსოფლიო პირველობაში ვახტანგ მურვანიძის გამოსვლა ფიგურულ ციგურაობაში. ნოემბერში ჩვენმა ვეტერანებმაც გაიხსენეს სიჭაბუკე და თავიანთ კბილა სპორტსმენებს ტოლი არ დაუდეს მსოფლიო ჩემპიონატებში – მხედველობაში გვაქვს ვეტერან სამბისტთა და ჭადრაკში თამარ ხუგაშვილის წარმატებები.

სამწუხაროდ, იყო იმედგაცრუებაც. ვერც მორაგბეებმა და ვერც კალათბურთელმა ვაჟებმა გამოიჩინეს თავი საერთაშორისო არენაზე, პირიქით, სირცხვილიც ჭამეს და ეს მხოლოდ დიდი ანგარიშით წაგებებზე არ ითქმის.

გასულ თვეში ჯახირით დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, შიდა შეჯიბრებები ჩატარდა ველოსპორტში, კარატეში, ჩოგბურთში, კალათბურთში, რაგბიში, ფარიკაობაში, ჭადრაკში...

### თვის საუკეთესო სპონსორი

*„ლელოს“ რედაქციამ შეაჯამა ნოემბერში სპორტსმენებისა და საერთოდ ქართული სპორტისადმი გაწეული სპონსორული დახმარების შედეგები და საუკეთესოდ სცნო საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ურთიერთობების მინისტრის მოადგილე გელა ნიორაძე, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ჩვენს სამბისტებს. მისი თანადგომა და მხარდაჭერა არც ადრე აკლდა ჩვენს სპორტს და სპორტსმენებს.*

## „სამკაციანი“ გუნდი მესამე ადგილზე



ამ დღეებში რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დამთავრდა ევროპის პირველობა ძიუდოში. 1979-1980 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს შორის.

ამ შეჯიბრებაში მხოლოდ სამმა ქართველმა მოჭიდავემ მოახერხა ბუქარესტში ჩასვლა და ასპარეზობა. „სამკაციანმა“ გუნდმა კი ევროპის პირველობაზე რუსეთისა და რუმინეთის ძიუდოისტების შემდეგ მესამე ადგილი მოიპოვა.

*60 კილოგრამ* წონით კატეგორიაში პირველი ადგილი ხვდა თბილისის სპორტის სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლის აღსაზრდელს *დავით მარგოშვილს* (მწვრთნელი ზურაბ კახაბრიშვილი). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა დაამარცხა რუმინელი, იტალიელი, შვეიცარიელი და ფრანგი ძიუდოისტები. ფინალში კი აჯობა სამბოში მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის გამარჯვებულ აზერბაიჯანელ ელჩი ისმაილოვს.

*66 კილოგრამში* ვერცხლის მედალი მოიპოვა ქუთაისელმა *ფირუზ ტყეშელაშვილმა*. წარმატებული სტარტის მიუხედავად, საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა მესამე ქართველი ძიუდოისტი გიორგი ნადირაშვილი (73 კგ.). რუმინეთში ჩვენს გუნდს ახლდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი.

## გაისად ევროკონფერენციაში... რაგბი

უძლიერესი არა, მაგრამ საკმაოდ ცნობილი სარაგბო კლუბები არიან გაერთიანებულნი ევროკონფერენციაში. წლეულს მასში მონაწილეობდნენ საფრანგეთის, შოტლანდიის, რუმინეთის, ირლანდიის, უელსის კლუბები, ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდები. ცნობილი გახდა, რომ გაისად პირინეის ნახევარკუნძულის ქვეყნების ადგილს დაიკავებენ საქართველოსა და რუსეთის ნაკრებები.

## საქართველოს პირველობა ჭადრაკი

საქართველოს პირველობაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით ტარდება (9 ტურად), 60 მონაწილე ჩაერთო, მათ შორის არის ქალების დიდი ჯგუფი. ძალას ცდიან ახალგაზრდა დიდოსტატები ნინო ხურციძე და მაია ლომინეიშვილი, საერთაშორისო ოსტატი. ვაჟები, აგრეთვე სრულიად ახალგაზრდა მოჭადრაკეები, ჭაბუკთა და გოგონათა მსოფლიო და ევროპის პირველობების მონაწილეები.

შეჯიბრება 11 დეკემბრამდე გასტანს.

რედაქტორის სვეტი

## ტრაბახის სინდრომი

სპორტში არც დამარცხებაა უმიზეზო და არც გამარჯვებაა უსაფუძვლო. ერთისგანაც და მეორისგანაც გონიერებს დასკვნები გამოაქვთ, ზოგიერთები წარმატებისგან ეიფორიაში ვარდებიან და სწორედ ეს ხდება მომავალი კატასტროფის დასაწყისი. წარსულის ყველაფრის უარყოფა რომ არ შეიძლება, ხან სად იჩენს ხოლმე თავს და ხან სად. სამწუხაროდ, სპორტში პედაგოგიური პროცესიც იმდენად განთავისუფლდა არტახებიდან, რომ ძნელად თუ უწოდებ აღმზრდელობითს. რაღა არ ხდება გუნდებში, თვით ეროვნულ ნაკრებშიც კი. გალაღება თვითნებობამდე მივიდა, დამრიგებლის სიტყვას ფასი დაეკარგა, მოიშალა ანგარიშგების ინსტიტუტი, ზემოდან მაკონტროლებელი და დამტუქსავი აღარავინაა, მოკლედ, აღარავინ აღარავის არაფრად აგდებს, მორიდებაზე და შიშზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ცხადია; იმას არ ვამტკიცებთ, რომ
დესპოტური რეჟიმია აღსადგენი, მაგრამ, რაღაც ბერკეტები რომ ასამუშავებელია, დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს. ძალიანაც რომ მოვინდომოთ, გერმანელთა, ამერიკელთა თუ სხვათა გამოცდილებას ვერ გადმოვიღებთ თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ სულ სხვა სოციალურ-ეკონომიკური ყოფაა სპორტის ბაზისი. იქამდე ალბათ ჩვენც მივალთ, მაგრამ მანამდე რა ვიღონოთ, რით და რა გზებით შევაჩეროთ თვითნებობის აგორებული ზვავი? ჩვენ რომ გვეგონა მორაგბეთა შესანიშნავი და სამაგალითო ეროვნული ნაკრები გვყავდა, თურმე საქმე არც იქ ყოფილა დალაგებული. როცა მწვრთნელთა და მოთამაშეთა შორის გაგება და ერთსულოვნება არაა, როცა თვით მწვრთნელებიც ვერ თანხმდებიან ერთმანეთში, როცა სპორტსმენთა შორის დაპირისპირება და ჩასაფრებაა, როცა გარეშე ძალებიც უცერემონიოდ ერევიან ნაკრების ცხოვრებაში, როგორ შეიძლება გვქონდეს წარმატების იმედი. მერე იწყება ყურადღების გადატანა იმაზე, რომ მოგება შეგვეძლო და დასანანი შეცდომები რომ არა... განა თანამედროვე სპორტში, როცა თანაბარი ძალები უპირისპირდება ერთმანეთს, შეიძლება ასეთი უსუსური არგუმენტით გაამართლო მარცხი? ცხადია, იგებს ის, რომლის მეტოქეც მეტ შეცდომებს დაუშვებს ან ძლიერი აიძულებს მას შეცდეს, გატეხოს თუნდაც ფსიქოლოგიურად, არჩეული ტაქტიკით დაჯაბნოს და ა.შ. მთავარი ხომ შედეგია.
განა კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებზე არ გამოგვიტენეს თავი ტრაბახით, რომ ჩვენი ბიჭები ძლიერები არიან, ნახეთ პირველ ტაიმებს რა ლამაზად იგებდნენ და მერე დასანანი მარცხი იწვნიეს ამის და ამის გამოო... სირცხვილია ასეთი მსჯელობა, ასეთი აზრის გატარება ცუდ სამსახურს, პირველ ყოვლისა, უწევს თვით ნაკრებ გუნდებს, ჭეშმარიტ გულშემატკივარს კი ხელოვნურად გამოწვეულ სასოწარკვეთაში აგდებს.
უდისციპლინობა და გულარხეინობა, გნებავთ გამომწვევი უპასუხისმგებლობა, ჩვენი კალათბურთელებისთვის უცხო რამ არ არის. მაგრამ, ის, რაც გასულ შაბათს მოხდა თბილისის სპორტის სასახლეში, უკვე ცინიზმია. ცხარობს და მუშტებს იქნევს ის, ვინც სუსტია, ძლიერი კი მუდამ ვაჟკაცურად იბრძვის ბოლომდე. განა ეს ვინმეს ესწავლება?
როგორც ჩანს ესწავლება!

## საქართველოს სპორტსმენთა მიღწევები ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში

| № ღონისძიების დასახელება | 1997 წელი I | II | II | სულ | 1998 წ. იანვარი-ნოემბერი I | II | III | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მსოფლიო ჩემპიონატი | 15 | 12 | 14 | 41 | 16 | 7 | 11 | 34 |
| 2. მსოფლიო თასი | 1 | 3 | 2 | 6 | — | 1 | 4 | 5 |
| 3. მსოფლიო პირველობა | 3 | 3 | 2 | 8 | 7 | 6 | 11 | 24 |
| 4. ევროპის ჩემპიონატი | 15 | 10 | 11 | 36 | 14 | 15 | 12 | 41 |
| 5. ევროპის თასი | - | - | - | - | 1 | 1 | 2 | 4 |
| 6. ევროპის პირველობა | 11 | 9 | 14 | 34 | 7 | 9 | 9 | 25 |
| 7. ბალკანური თამაშები | 3 | 1 | 4 | 8 | - | - | - | - |
| 8. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები | 1 | 2 | 2 | 5 | - | - | - | - |
| 9. მსოფ. ჭაბუკთა თამაშები | - | - | - | - | 2 | 4 | 11 | 17 |
| 10. 16 წლამდე ასაკის საჭადრაკო ოლიმპიადა | - | - | - | - | - | 1 | 1 | 2 |
| 11. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა | - | - | - | - | - | 2 | 3 | 5 |
| სულ: | 49 | 40 | 45 | 138 | 47 | 46 | 64 | 157 |

სამბო
საერთაშორისო ტურნირი

## ოლეგ იაძის ბიჭებს წარმატებები მოაქვთ, ამერიკაში კი არ უშვებენ...

აზერბაიჯანში სამბისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ქვეყნის ეროვნული გმირის რაფიკ ისმაილოვის ხსოვნას ეძღვნება, საქართველოდან 18 ათლეტი გაემგზავრა საასპარეზოდ. მათგან 8 მონაწილე სპონსორებმა გელა ნიორაძემ, ამირან ობგაიძემ და თამაზ დავითაშვილმა დააფინანსეს, დანარჩენები კი საკუთარი თუ ნასესხები ფულით ჩავიდნენ ბაქოში.

ტურნირში რუსეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სპორტსმენები გამოდიოდნენ. მასპინძლებმა 6 ოქროს მედალი მოიპოვეს და გუნდური პირველობაც მათ დარჩათ, სამი გამარჯვებული, სამი – მეორე და ამდენივე მესამე ადგილი მოიპოვეს ჩვენმა ბიჭებმა და გუნდური მეორე ადგილი ხვდათ წილად.

უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს გორელმა ნიკოლოზ ბიბილაშვილმა (82 კგ), თბილისელებმა გიორგი ჩადუნელმა (90) და მიხეილ ჩხეიძემ (მძიმე), მეორე პრიზიორები გახდნენ ქარელელი მამუკა მაზმიშვილი (57), ზუგდიდელი ირაკლი ქარჩავა (82) და მცხეთელი დავით ლილუაშვილი (100), ბრინჯაო კი წილად ხვდათ კასპელებს გიორგი მერაბიშვილს (57) და ზურაბ მუზაშვილს (82), ზუგდიდელ თემურ ხაბურზანიას (82).

– ახლა ვეტერანი სამბისტები აშშ-ში არიან მიწვეულნი და ამ ქვეყნის კონსული საქართველოში იმედია მიგვიღებს, გაგებით მოეკიდება ჩვენს თხოვნას, გაგვიფორმებს ვიზებს, სხვისი ცოდვებისათვის ჩვენ რატომ უნდა დავისაჯოთ? – გვითხრა სამბოში საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ.

ხოლო თუ რა ცოდვებზეა ლაპარაკი, ამის თაობაზე ო. იაძე ვრცლად ილაპარაკებს მომავალ ხუთშაბათს სპორტის დეპარტამენტში ჟურნალისტებთან გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე.

# კასკადიორებო, წინ!

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების სიმრავლით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ნამდვილად გავოცდით, როცა შევიტყვეთ, რომ თბილისში თურმე ერთ-ერთ კოლეჯში კასკადიორებსაც ამზადებენ. ამის თაობაზე ვთხოვეთ „ლელოს" მკითხველისთვის მოეთხრო კინო-ვიდეო-ბიზნესის კოლეჯის რექტორს, ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, დავით ლუარსაბიშვილს.

● *ბატონო დავით, პირადად ჩემთვის, შეიძლება ითქვას დიდი აღმოჩენაა ის ფაქტი, რომ თურმე ქართველი კასკადიორებიც არსებობენ. როდის დაარსდა თქვენი კოლეჯი?*

— კინემატოგრაფისტთა კავშირში კინოტექნიკის სექციის თავმჯდომარე ვიყავი. მაშინ რამდენჯერმე დავსვი საკითხი შექმნილიყო კინოტექნიკუმი საქართველოში. ასეთი სასწავლებელი თითქმის ყველა ქვეყანაში იყო. ამ სამი წლის წინათ უშუალოდ ბატონ რეზო ჩხეიძის ინიციატივით და თანადგომით გაიხსნა ჩვენი კოლეჯი. სწორედ ბატონმა რეზომ დასვა საკითხი განათლების სამინისტროში, რომ ეს კოლეჯი აუცილებელი იყო კინემატოგრაფიისათვის. შენობა, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, კინემატოგრაფისტთა კავშირისაა. დიდი მადლობა ბატონ ელდარ შენგელაიასაც, რომელიც მხარში გვიდგას და კოლეჯს საშუალებას აძლევს იარსებოს.

● *ყოფილ საბჭოთა კავშირში, საქართველოს გარდა თუ არსებობს ასეთი სასწავლებელი?*

— ჩვენი კოლეჯი 1995 წელს გაიხსნა. იმავე წელს პირველად გაჩნდა რუსეთში, მოსკოვის მახლობლად, კასკადიორთა მოსამზადებელი სკოლა „აკვატრიუკი", სხვა მსგავსი სასწავლებელი ყოფილ საბჭოთა კავშირში არ არსებობს.

● *ბატონო დავით, ცხადია, კასკადიორებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ კინემატოგრაფიასთან, ხომ არ გაიხსენებთ ქართულ კინოფილმებს, სადაც ქართველი კასკადიორები მონაწილეობენ?*

— სიტყვა კასკადიორი, დუბლიორს ნიშნავს და იგი საცირკო ტერმინოლოგიიდან მოვიდა. შემდეგ დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა და დამკვიდრდა კინოში. იყო ასეთი ცნობილი კასკადიორი ივანე შიფრა. იგი ალენ დელონის და ჟან მარეს დუბლიორი გახლდათ. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ინტერვიუში ჟან-მარე აღნიშნავს: „ბევრს ჰგონია კასკადიორი არ მჭირდებოდა. მე იმდენს ვერ მივაღწევდი რომ არ ყოფილიყო ივანე შიფრა".

რაც შეეხება ქართველ კასკადიორებს, გამოვყოფდი დანელიას, აგრეთვე კოჩიევს. როდესაც ლენინგრადში იღებდნენ ერთ-ერთ სათავგადასავლო ფილმს, ვერც ერთმა კასკადიორმა ვერ გაბედა გადასულიყო გაყინულ ნევაზე. კოჩიევმა კი პირველმა შეაგდო ცხენი ყინულზე და გავიდა გაღმა.




● *დღეს თუ იწვევენ თქვენს სტუდენტებს კინოფილმებში?*

— პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ჩვენმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში. „ნუცას სკოლა".

წლეულს გავხსენით სამსახიობო ფაკულტეტიც. დიდი სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ სამსახიობო ოსტატობას აქ კითხულობენ შესანიშნავი სპეციალისტები.

● *გოგონები თუ ინტერესდებიან კასკადიორის ხელოვნების დაუფლებით?*

— საერთოდ, საბჭოთა კავშირში კასკადიორი ქალი სულ ოთხი იყო. საქართველოში ქალი კასკადიორი არ გვყოლია. ახლა კი ჩვენს კოლეჯში, ამ რთულ და საინტერესო პროფესიას, ორი გოგონა ეუფლება. ერთ-ერთი მათგანი ნატო თეთრაშვილი აღმოსავლეთის ორთაბრძოლებში გამოდიოდა, მეორე — ნატო ალანია თბილისის ჩემპიონია კარატეში. წლეულს ჩვენთან მოვიდა საქართველოს ჩემპიონი კრივში გიორგი არაბული. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შეიძლება მალე „სელექტას" წევრი გავხდეთ. რაც ბატონ გოგი დოლიძის დიდი დამსახურებაა იგი. როგორც ცნობილია, ქართული კინოსკოლის პრორექტორია და უკვე ამ ფრიად ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ნამდვილი წევრია: დავსვით საკითხი, რომ მიგვიღონ „სელექტას" ასოცირებულ წევრად.

* * *

**რექტორთან ინტერვიუს შემდეგ გავესაუბრეთ ქართველ კასკადიორს. იქვე, სასწავლებელში შევხვდით თბილისის კინო-ვიდეო-ბიზნესის კოლეჯის მეოთხე კურსის სტუდენტს 20 წლის ზურაბ ნანობაშვილს.**

● *ზურა, რამ განაპირობა შენი დაინტერესება ამ უჩვეულო პროფესიით?*

— მძაფრსიუჟეტიანი საზღვარგარეთული ფილმები ბავშვობიდან მომწონდა. მომწონდა რისკიანი ფათერაკები ეკრანზე. კასკადიორთა გამბედაობა, თავბრუდამხვევი ტრიუკები, ცეცხლთან, გაყინულ წყალთან, მოწინააღმდეგესთან და სხვა სიძნელეებთან ჭიდილი.

რაც შეეხება კოლეჯს, ამ სასწავლებელში მე მართლაც შემთხვევით მოვხვდი დედაჩემთან ერთად, ფოტოატელიეში ვიყავი. ბედის წყალობით; იქ იყო ბატონი დავით ლუარსაბიშვილი. თურმე იგი კასკადიორთა სპეციალობისათვის ეძებდა მომავალ კანდიდატებს. ერთი სიტყვით, გამიმართლა, კოლეჯის სტუდენტი გავხდი.




● *როგორ შეხვდნენ თქვენს ოჯახში შენს არჩევანს?*

— გამოგიტყდებით, მშობლები თავიდან წინააღმდეგნი იყვნენ, განსაკუთრებით ვერ ეგუებოდა ამას ბებიაჩემი. ასეა თუ ისე, უკვე მეოთხეკურსელი ვარ და შეიძლება ითქვას, ჯიბეში მიდევს კასკადიორის დიპლომი.

● *ვიცი, რომ უკვე მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „ნუცას სკოლა" მიიღე მონაწილეობა, რას გვეტყოდი ამის შესახებ?*

— ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთან, კოლეჯში, რეჟისორის დავალებით მოვიდა ბატონი შოთა სხირტლაძე. მას მომავალი ფილმისთვის კასკადიორები უნდა შეერჩია. არჩევანი ჩემზე, თამაზ ქუსიკაშვილზე და კიდევ ორიოდე ბიჭზე შეაჩერა. ასე მოვხვდი მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში, რომელსაც მაყურებელი მალე იხილავს ეკრანზე.

აქვე გეტყვით, რომ ჩვენი რეჟისორები, რატომღაც თავს არიდებენ კასკადიორების გამოყენებას რთულ სცენებში. არადა, ასეთ ფილმებს მუდამ ჰყავს მაყურებელი.

● *მითხრეს, რომ საკუთარი კინოსცენარიც დაგიწერია და ხატვაც გეხერხება...*

— ეს სცენარი თანამედროვე ცხოვრებიდანაა, დღევანდელი ახალგაზრდობის პრობლემებს ეხება. ცხადია, მასში უხვადაა სანახაობრივი სცენები, რაც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ჩვენი მაყურებლისათვის. დღევანდელ. პირობებში, როდესაც ნამდვილი მეგობრობისა და სიყვარულის ასეთი დეფიციტია, ვფიქრობ, მომავალი ფილმის გმირები, ცივილიზაციით მოწამლულნი, ერთობ ინდიფერენტულნი, ბოლოს და ბოლოს, თავშესაფარს და ცხოვრების მიზანს ისევ და ისევ სიყვარულში პოულობენ. ვიმედოვნებ, რომ ჩემს სცენარს ხორცშესხმა ეღირსება, რაც უპირველესად ფინანსურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

● *წარმოუდგენელია, რომ კასკადიორი სპორტსმენი არ იყოს. სპორტის რომელი სახეობა გიტაცებთ?*

— მეექვსე კლასში ვიყავი, უშუს სექციაში რომ ჩავეწერე. ერთი წლის შემდეგ ჩვენი სექცია დაიშალა. შინ ვვარჯიშობდი, მერე „საქმეში ჩავერთვე" ჰანტელები, გირები, შტანგა. კიკბოქსინგშიც ვოსტატდებოდი. შემდეგ კი... შემდეგ რაც იყო, ყველაფერი უკვე ზემოთ გითხარით.

ნინო მაზიაშვილი

**PS. „კასკადიორებო, წინ"! — გადასაღებ მოედანზე ხშირად გაისმის რეჟისორის ეს სიტყვები და ისინიც, მამაცთა შორის ყველაზე მამაცები და ჩაუქთა შორის ყველაზე ჩაუქები წინ, ნამდვილი ბრძოლის ველზე გამოდიან. მერე მოხიბლული მაყურებლები ერთმანეთს უზიარებენ ემოციებს, ემოციებს, რომელიც ხშირად შეუდარებელი ოსტატობით ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენით და სიცოცხლის რისკის ფასადაა მოტანილი ეკრანამდე.**

## კარატე თაოსნებს „შევრონის" შეემატა

ჩვენში სპორტი, რომ იტყვიან, თუ ჯერ კიდევ ხმიანობს და შეჯიბრებებიც ხშირად იმართება, ისევ და ისევ კარატეა. პირდაპირ შესაშურია ამ ხალხის ენთუზიაზმი, თანაც ყველგან და ყველაფერში დისციპლინა და წესრიგი სუფევს, რასაც, სამწუხაროდ, სპორტის ბევრ სახეობაზე ვერ ვიტყვით. აქ ასპარეზობათა ორგანიზატორები, სიახლეთა გამუდმებულ ძიებაში არიან. ყველა შეჯიბრება რაღაც შინაარსს და დატვირთვას იძენს. მაგალითად, ამ დღეებში, თბილისში, ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში გამართულ ღონისძიებაზე, რომელშიც მოზარდები მონაწილეობდნენ, კარატეს მთელმა ელიტამ მოიყარა თავი. შიტორიუ კარატედოში საქართველოს ღია პირველობას თვალყურს ადევნებდნენ სპორტის ამ სახეობის ოთხი თაობის წარმომადგენლები. კარატეს ზემოხსენებული სახეობის ფედერაციის პრეზიდენტმა ეროვნულ ფედერაციაში მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ, თემურ რამიშვილმა (მე-5 დანი) ხაზგასმით აღნიშნა მოზარდთა დიდი დაინტერესება და ოსტატობისკენ სწრაფვა. სამაგალითოდ მოიტანა გოგონათა შორის ქეთევან გოგბერაშვილისა და ეთერ გავაშელის ფინალური ორთაბრძოლა, რომელიც მისი თქმით, ნებისმიერ საერთაშორისო ტურნირს დაამშვენებდა. მანვე დასძინა, რომ „სწორედ კარატისტთა ამ თაობას მოუწევს ახალ საუკუნეში სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობა, რომლის ჩართვა თამაშების პროგრამაში თითქმის გადაწყვეტილია".

ამ ლამაზი ასპარეზობის ორგანიზატორები იყვნენ შესაბამისი ფედერაცია, კარატედოს ეროვნული ფედერაცია, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი და კომპანია „შევრონი".

**ჰვარცხლბეკი.**

*გოგონები. 9-10 წლისები:* 1. ქეთევან გოგბერაშვილი, 2. ეთერ გავაშელი, 3. ინა მალიანცი, *14 წ:* 1. მანანა ანასაშვილი, 2. ინგა ჩალაბიანი, 3. ფიქრია ხუციშვილი. *ბიჭები. 9 წ.* 1. ბექა ჯანჯალია, 2. ცოტნე ცომაია, 3. გენადი სიჭინავა და ირაკლი ვეკუა; *10 წ:* 1. ლევან ნიჟარაძე, 2. მიხეილ აბესაძე, 3, ნოდარ თუშიშვილი და შალვა ებანოიძე; *11 წ:* ირაკლი კობერიძე, 2. გიორგი წარუაშვილი, 3. ალეკო ბერინაშვილი და რატი ხუნწარია; *12 წ:* 1. დავით ბალოიანი, 2. ირაკლი ჭურღულია, 3. აჩიკო ელერდაშვილი და ჟანი საფაროვი; *13 წ:* 1. დავით ჩხენკელი, 2. ალექსანდრე კეკენაძე, 3. დავით კელიხაშვილი და კახა ეგნატაშვილი; *14 წ:* 1. ერიკ კარაპეტოვი, 2. გიორგი წასიძე, 3. ოთარ ებრალიძე და გენადი ხუციშვილი; *15 წ:* 1. გიორგი კუპატაძე, 2. გიორგი კარაპეტოვი, 3. დიმიტრი ამირანაშვილი და ლევან ჩარკვიანი; *16 წ:* 1. ზვიად გაბიცინაშვილი, 2. ზურაბ შათირიშვილი, 3. ბადრი ალხაზიშვილი და მიხეილ ვოლოკოვი; *17 წ:* 1. ოლეგ განგანი, 2. გია ხუციშვილი, 3. ალეკო ქებურია.

გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვეს ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარემ, შოტოკან კარატედოს პრეზიდენტმა კახა ბასილიამ (მე-5 დანი), მთავარმა მსაჯმა, შიტორიუ კარატედოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ გიგნაძემ (მე-3 დანი). გამოყვეს რჩეულები მსაჯთა კორპუსიდანაც — გელა ახალაძე, დავით ხუხაშვილი, თემურ ჯოხაძე, ზაზა ბერიშვილი, დემურ კურატაშვილი და სხვ.

ნ. თუშიშვილი

## ტანვარჯიში თბილისის პირველობა

## სიზმრიდან ცხადად ქცეული შეჯიბრება

8 წელიწადზე მეტია, უსახსრობის მომიზეზებით, თბილისში ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება არ ჩატარებულა, მოზარდები სიზმარში თუ ხედავდნენ საკუთარ თავს თანატოლებთან ასპარეზობაში. ახლა კი ნორჩებს სიზმარი ცხადში აუხდინა თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ თბილისის განათლების მთავარი სამმართველოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სპორტსკოლის დირექტორმა გ. ჩხარტიშვილმა უშეჯიბრებო ვაკუუმით იმედგაცრუებულმა მწვრთნელთა და მოზარდთა სახელით თხოვნით მიმართა ვ. კანკავას, რომ საქალაქო ჩემპიონატი გამართულიყო. დირექტორმა კარგად იცოდა ვისთვის მიემართა — ვლადიმერ კანკავას კაბინეტიდან იშვიათად თუ გამოვა ვინმე უკმაყოფილო და გულნაკლული. მას მუდამ გულთან ახლოს მიაქვს სპორტის და სპორტსმენთა პრობლემები და არასოდეს იტყვის: „არ არის სახსრები და მორჩა!" რაღაც გზას მაინც გამონახავს. აქაც გამონახა!

ტანმოვარჯიშეები, უფრო კი მათი აღმზრდელები და სპეციალისტები დღესაც ამ პირველობით გამოწვეულ სიხარულს ვერ მალავენ, რადგან მან ყველას, ტანვარჯიშის სტაჟიან ქომაგებსაც კი, გარდასული დღეები გაახსენა, როცა ჩვენს ქალაქში ყოველი შეჯიბრება აღმოჩენებისა და პატარა ზეიმის ნიშნით მიმდინარეობდა. ღმერთმა ქნას, რომ ტანმოვარჯიშეებს ეს დღეები, იშვიათ გამონაკლისად კი არა, სადაგად გადაექცეთ.

პირველობა მონაწილეთა მასობრიობითაც გამოირჩეოდა, 70-მდე სპორტსმენი იბრძოდა გამარჯვებისათვის. ესენი ორად-ორი საზოგადოების „მართვესა" და „შევარდენის" წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც 2-2 გუნდად წარსდგნენ. მათ გამოსვლებს თვით საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი ომარ ლონლაძეც მსაჯობდა.

**ჰვარცხლბეკი:**

**ვაჟები.** უფროსი ასაკი. სპორტის ოსტატობის პროგრამით 1984 წ. და ადრე დაბ. 1. შალვა დალაქიშვილი — 47,2 ქულა. 2. ვასიკო ლონდარიძე — 43,5; 3. გიორგი ახვლედიანი — 40,8 (სამივე — „მართვე") პირველი თანრიგი — 1986-87 წ. დაბ. 1. აკაკი ქართველიშვილი — 49,2. მეტი მონაწილე არ ყოფილა. მეორე თანრიგი — 1986-87 წ.წ. დაბ. 1. ზაურ ნაკაშიძე — 55,15; 2. ზურაბ ანდრიაძე — 53,6; 3. ვაჟა ნოზაძე — 51,1 (სამივე — „მართვე"). ჭაბუკთა პირველი თანრიგი, 1988-89 წ.წ.დაბ.. 1. პაატა ნოზაძე — 56,95; 2. გიორგი აფციაური — 56,5; 3. ალეკო ჭიკაიძე — 55,8 (სამივე — „მართვე"). უმცროსი ჭაბუკები — II თანრიგი 1989-90 წ.წ. დაბ. 1. რეზო დოლიძე — 56,8 („მართვე"), 2. ლევან ადამაშვილი — 55,8; 3. გიორგი ავაქიანი — 55,4 (ორივე — „შევარდენი").

**გოგოები.** სპორტის ოსტატობის პროგრამით. 1. ნინო დოდაშვილი — 35,95; 2. სოფიკო გაბაძე — 33,7; 3. ნაზი ჯანგველაძე — 32,925 (სამივე — „მართვე"). პირველი თანრიგი. 1. ირინა პაშკოვა — 35,8; 2.. თამარ მოსიძე — 33,65. მეტი მონაწილე არ ყოფილა. მეორე თანრიგი. 1. თამუნა შალამბერიძე — 34,15; 2. ნინო ფერაძე — 32,3; 3. თეონა შალამბერიძე — 30,25 (სამივე — „მართვე"). მეორე თანრიგი. 1. სოფიკო ბოდაველი — 36,1; 2. ქეთინო სარალიძე — 35,25; 3. გვანცა ცაბაძე — 35,15.

*გუნდური პირველობა.* 1. „მართვე-1" (ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სპორტსკოლა), 2. „შევარდენი-II; 3. „შევარდენი"-I.

ჯ. უნგიაძე

## წიგნის თარო

დღეს წიგნები იშვიათად გამოდის, მაგრამ ზოგჯერ თუ მაინც გამოჩნდება ხოლმე ესოდენ საჭირო ლიტერატურა, ისევ და ისევ სპონსორთა ხელშეწყობას უმადლიან ავტორები. ასე იხილა დღის სინათლე გაბრიელ ბარჯაძის ახალმა ნაშრომმა „საქართველოს რომ ფალავნები ჰყოლია..." აქ თავმოყრილია თითქმის ყველა ძვირფასი მასალა, რაც ჩვენს ეროვნულ საუნჯეზე გაგვაჩნია უიშვიათესი ფოტოსურათებითურთ, მოთხრობილია ქართული ჭიდაობის ისტორიაზე, სხვადასხვა დროის ქართველ ფალავნებზე და მათ წარმატებებზე. მკითხველს ტექსტში შეხვდება ახალი სიტყვები თუ ტერმინები, რომელთა განმარტება გამოცემის ბოლოშია დართული.




ავტორი დახმარებისათვის დიდ მადლობას უხდის სპონსორებს იაგო ჭოხონელიძეს, ჯონი გურგენაშვილს, ნუხა გაგოშიძეს და მიხეილ სალაძეს.

## მკითხველი-გაზეთი

**შეკითხვა:** ვარ 21 წლის, ძალიან მინდა ვიმეცადინო ცურვის გამაჯანსაღებელ ჯგუფში, მაგრამ ჩვენთან, ორთაჭალაში, აუზი აღარ მუშაობს. სად შეიძლება მივაკითხო, სად მუშაობენ ასეთი ჯგუფები?

ნელი მსხილაძე

**პასუხი:** ერთადერთი აუზი, თბილისში, სადაც შექმნილია ცურვაში გამაჯანსაღებელი ჯგუფების მუშაობის ნორმალური პირობები, სანაპიროზე, „ლაგუნა-ვერეს" აუზია. იქ, ნებისმიერი ასაკის მსურველს იღებენ.

# „ბაიერნი“ და „ბაიერი“

## გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა

**გერმანიის 1997-98 წლების ჩემპიონატი, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, მეორე ბუნდესლიგიდან დაბრუნებული „კაიზერსლაუტერნის“ სენსაციური გამარჯვებით დასრულდა, რაც გერმანულ ფეხბურთში ასეთი ამბების გამეორება, საერთოდ, წარმოუდგენელია...**

ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, მიუნხენის „ბაიერნი“ ამ პირველობას, ექსპერტების აზრით, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა. ოტმარ ჰიტცფელდი, რომელიც იტალიაში დაბრუნებული ჯოვანი ტრაპატონის ნაცვლად მიიწვიეს, მანამდე ერთი სეზონი მწვრთნელად არ მუშაობდა. დორტმუნდის „ბორუსიაში“ თავისი ადგილი ნევიო სკალას დაუთმო და თვით იქვე ტექნიკური დირექტორი გახდა. ეტყობა, მოენატრა ამ სფეროში კვლავ მოღვაწეობა. „ბაიერნმა“ ადრინდელთან შედარებით გაცილებით უფრო აგრესიულად, ენერგიულად დაიწყო თამაში (მადლობა ღმერთს, სათანადო შემსრულებლები არ აკლია!) და ზედიზედ მოიგო პირველი 6 შეხვედრა. არავის გაჰკვირვებია ლევერკუზენის „ბაიერის“ კარგი სტარტიც, აი „მიუნხენ 1860“-ის პირველი გამარჯვებები, რაც ძალიან კარგ გუნდურ თამაშს ეყრდნობოდა, გარკვეული სიურპრიზი იყო. „კაიზერსლაუტერნი“ კი ამჯერად ვერაფრით გამოირჩეოდა.

მეშვიდე ტურში ლიდერმა პირველი ორი ქულა დაკარგა — თანაც საკუთარ მინდორზე, თანაც ძველთაძველ მეტოქესთან — დორტმუნდის „ბორუსიასთან“, რომელიც, ექსპერტების აზრით აშკარად მობერდა, სხვა სიტყვებით, სრულიად ცხადად „დნება“. ეს, შესაძლოა, ასეცაა, მაგრამ მიუნხენში „ბორუსია“ მეტად მტკიცედ თამაშობდა და ამ შეხვედრაში ფრეს — 2-2 უფრო მასპინძლებმა მიაღწიეს. ამ შედეგს „ბაიერნის“ მდგომარეობა არ შეურყევია, იგი სამი ქულით უსწრებდა მეორე ადგილზე გადაბარგებულ „ბაიერს“.

შემდეგში „ბაიერნის“ დომინაცია გრძელდებოდა. მან მერვე და მეცხრე ტურებში კიდევ ორი გამარჯვება იზეიმა, და თუმცა მეათეში მაინის ფრანკფურტში „აინტრაჰტთან“ პირველად დამარცხდა 0-1, ამით მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. კვლავ თვალშისაცემი იყო ჩემპიონ (თუ უკვე ყოფილ ჩემპიონ?) „კაიზერსლაუტერნის“ ულიმღამო თამაში. ოტო რეჰაგელი, ცხადია,– შეეცდება მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ როგორც ჩანს, მისი „ჭერი“ ამჯერად ჩემპიონობა კი არა, ერთ-ერთი საპრიზო ადგილი (რომელი?) იქნება.

მეცამეტე ტურში „ბაიერნი“ უკვე მეორედ დამარცხდა — ამჯერად ბერლინში „ჰერტასთან“ 0-1. ეს ერთადერთი გოლი 68-ე წუთზე პრეცმა გაიტანა. ამასობაში ბოხუმში ადგილობრივი გუნდი პირდაპირ გაანადგურა ლევერკუზენის „ბაიერმა“. ამ კლუბში, სხვებთან ერთად, რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას იპყრობს პაულო რინკი. იგი ბრაზილიიდან მოიწვიეს, მაგრამ გერმანული წარმოშობის მამა ჰყავს. ამ გარემოებით ისარგებლა გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელობამ, რინკმა გერმანული პასპორტი მიიღო და ახლა ერიხ რიბეკის განკარგულებაში იქნება.

პირველი წრის დამთავრებას ბევრი აღარაფერი უკლია. მეთხუთმეტე ტურში კვლავ გაიმარჯვა „ბაიერნმა“, რომელიც „ნიურნბერგს“ იღებდა. სტუმართა გუნდი ერთ-ერთი აუტსაიდერია, და ცხადია, ბავარიელებთან გამკლავება მას არ შეეძლო. 2-0, გოლები გაიტანეს „ბაიერნის“ ბრაზილიელმა სნაიპერმა ჯოვანი ელბერმა (რომელიც ახლა თავისი ქვეყნის ნაკრების ძირითადი თავდამსხმელი გახდა!) და მსოფლიო ჩემპიონმა, ბასკური წარმოშობის ფრანგმა ბიქსენ ლიზარაზუმ. როგორც გურმანელი მიმომხილველები აღნიშნავენ, ეს შემტევი მცველი საკმაოდ უფერული შარშანდელი სეზონის შემდეგ ახლა გაცილებით უკეთ თამაშობს. ახლა „ბაიერნს“ 14 თამაშის შემდეგ (ერთი მატჩი მას გამოტოვებული აქვს) 34 ქულა აქვს და მისი წამყვანი მდგომარეობა საკმაოდ მტკიცეა. მეკარე ოლივერ კანი ახლა ნაკრებშიც ძირითადად ითვლება, დაცვაში იმედებს ისევ საიმედო მოთამაშე ვეტერანებზე ამყარებენ, შუა ხაზზე მარიო ბასლერთან ერთად, რომელიც ჰიტცფელდმა, ასე თუ ისე, „მოათვინიერა“, ძლიერად თამაშობს კიდევ ერთი რთული ხასიათის ფეხბურთელი შტეფან ეფენბერგი, ხოლო თავდასხმას ლევერკუზენელების შემდეგ ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

ახლა ლევერკუზენის „ბაიერი“ 32 ქულით მეორე ადგილზეა, მართალია, ლიდერთან შედარებით ერთი მატჩით



მარცხნივ — ალექსანდრე იაშვილი

მეტი აქვს ჩატარებული. ეს კლუბი გერმანიაში ყველაზე უფრო მეტად „ბრაზილიურია“. პაულო რინკზე უკვე ვილაპარაკეთ. აქვე თამაშობენ ემერსონი, რომელიც შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ გამოიყურება და ზე რობერტო. ზედიზედ ექვსი მატჩის მოგების შემდეგ 30 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა „კაიზერსლაუტერნმა“. ერთ-ერთი აუტსაიდერის, გელზენკირხენის „შალკე-04“-ის დამარცხება მას სულაც არ გასჭირვებია — 4-1. „ტრადიციულ“ სნაიპერ მარშალს გვერდში ამოუდგა რიოსლერიც, რომელიც ამდენ ხანს „მანჩესტერ სიტის“ შემადგენლობაში იკარგებოდა.

დანარჩენ კლუბებს შორის ყურადღებას იპყრობს „ფრაიბურგი“. იგი მეორე ბუნდესლიგიდან გადმოსვლის შემდეგ შეუპოვრად იბრძოდა, მაგრამ ქართველ სნაიპერ ალექსანდრე იაშვილის ხანგრძლივმა (რვაკვირიანმა!) ტრავმამ საკმაოდ დააზარალა. და აი ამდენი ხნის გაცდენის შემდეგ იაშვილი მინდორს დაუბრუნდა და ჩინებულად ითამაშა „შტუტგარტთან“, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, „ფრაიბურგზე“ უფრო ძლიერ კლუბად ითვლება. აქ ხომ ავსტრიის ნაკრების მეკარე კოლფარტი, ხორვატი სოლდო, მსოფლიო ჩემპიონი ბერთოლდი, ნიგერიელი აკპობორი, ბულგარელი ბალაკოვი და დიდად შედეგიანი (მიმდინარე ჩემპიონატამდე!) ბობიჩი გამოდიან. და აი იაშვილის ბრწყინვალე თამაშის წყალობით „ფრაიბურგმა“ „შტუტგარტს“ ანგარიშით 2-0 მოუგო, ამასთან, ორივე გოლი ქართველმა გაიტანა. იაშვილმა ამ მატჩისათვის უმაღლესი ნიშანი „ერთიანი“ მიიღო. ძირითად შემადგენლობაში მტკიცედ განიმტკიცა ადგილი ლევან კობიაშვილმაც, — მაღალი ნიშანი „სამიანი“ დაიმსახურა. ახლა „ფრაიბურგი“ 15 თამაშიდან 18 ქულით მეცხრე ადგილზეა, რაც დებიუტანტისათვის ურიგო შედეგად არ უნდა ჩაითვალოს.

ახლა ზოგი რამ სნაიპერების შესახებ. 9-9 გოლი ერთბაშად 4 თავდამსხმელს აქვს გატანილი: მარშალს („კაიზერსლაუტერნი“), ვინკლერს („მიუნხენ 1860“), ელბერს („ბაიერნი“) და პოლონელ „იურკოვიაკს“ („ვოლფსბურგი“), რომელიც ადრინდელზე უფრო შედეგიანი გახდა. 8-8 გოლი გაიტანეს პრეცმა (ბერლინის „ჰერტა“) და ცნობილმა ავსტრიელმა ვეტერანმა პოლსტერმა (მენხენგლადბახის „ბორუსია“), 7-7 — კირსტენმა (ლევერკუზენის „ბაიერი“) და განელმა ვარსკვლავმა იბოამ. 6-6 გოლის ავტორები არიან პამიჩი (როსტოკის „ჰანზა“) და იაშვილი. ვიმეორებთ, ქართველმა ბევრი მატჩი გამოტოვა, თორემ...

მორიგი ტური შაბათს, 5 დეკემბერს გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან „აინტრაჰტი“ — „შალკე-04“, „ბაიერი 04“ — „ვოლფსბურგი“, „ბოხუმი“ — „ბაიერნი“, „ნიურნბერგი“ — „ჰანზა“, „ჰერტა“ — „ფრაიბურგი“, „შტუტგარტი“ — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“, მენხენგლადბახის „ბორუსია“ — „ვერდერი“, „მიუნხენ 1860“ — დორტმუნდის „ბორუსია“ და „დუისბურგი“ — „კაიზერსლაუტერნი“.

15 დეკემბერს პირველი წრის ბოლო მატჩში ლიდერების შეხვედრაა — „ბაიერნი“ ლევერკუზენის „ბაიერს“ მიიღებს.

19 დეკემბერს რიგით მეთერთმეტე, ისე კი მეორე წრის პირველი ტური გაიმართება, შემდეგ ჩემპიონატში ხანგრძლივი შესვენება ცხადდება — 1999 წლის 20 თებერვლამდე.

**ბიძი ბამრეკელი**

---

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### პირველი ჯგუფი
### პირველი წრის სტატისტიკა

● X ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ 7 გუნდს გამოეცვალა მწვრთნელი: „ტორპედოს“, „ოდიშს“, „ვიტ-ჯორჯიას“, „არსენალს“, „სიონს“, „გურიას“ და „იბერიას“.
● II და XI ტურის მატჩებში სტუმრებს არ გაუმარჯვიათ.
● V ტურში ფრე არ აღინიშნულა.
● XI ტურის მატჩებში პენალტი არ დანიშნულა.
● ჩემპიონატის ყველაზე „ახალგაზრდა“ ფეხბურთელია 17 წლის ალექსანდრე ინწკირველი (თსუ), დაიბადა 24.08.81 წ. ყველაზე „ხნიერები“ კი არიან გიორგი ყიფშიძე („სიონი“) — 06.08.61 წ., ჯონი ჯაგიდიძე („სიონი“) — 26.08.62 წ., მალხაზ მახარაძე („დინამო“ ბთ.) — 02.03.63 წ. და გივი ქობელაშვილი („სიონი“) — 02.06.63 წ.
● პირველ წრეში მასპინძლებმა მოიგეს 55 შეხვედრა, რაც შეადგენს 45,8%, ფრედ დამთავრდა 32 მატჩი (26,6%), სტუმრებმა მოიგეს — 33 (27,6%).
● სულ გატანილია 347გოლი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,89).
● ჩემპიონატის პირველი გოლი გაიტანა თბილისის „არსენალის“ ფეხბურთელმა — აკაკი კაკაშვილმა.
● 115 ფეხბურთელის ანგარიშზეა 347 გოლი, აღინიშნა ერთი „ავტო-გოლი“ — ლურსმანაშვილი („იბერია“).
● ბომბარდირთა შორის დაწინაურდნენ:
მ. აშვეთია („დინამო“ თბ) — 13 გოლი,
ზ. იონანიძე („ტორპედო“) — 13,
ჰ. წივწივაძე („კოლხეთი-1913“) — 11,
დ. მახარაძე („გურია“) — 9,
ა. კაიდარაშვილი („დილა“) — 9,
ლ. ხომერიკი („დინამო“ თბ) — 8,
ლ. ცქიტიშვილი („დინამო“ თბ) — 8,
ე. გვასალია („კოლხეთი-1913“) — 8,
დ. ჯანაშია („ტორპედო“) — 8.
● გუნდებში ბომბარდირები გახდნენ:
„დინამო“ თბ. — მ. აშვეთია (13 გოლი),
„ტორპედო“ — ზ. იონანიძე (13),
„კოლხეთი-1913“ — ჰ. წივწივაძე (11),
„დინამო“ ბთ. — ჰ. მაჭუტაძე (7),
„დილა“ — ა.კაიდარაშვილი (9),
„არსენალი“ — ზ. ზირაქიშვილი (7),
„ოდიში“ — ზ. ენდელაძე (6),
„სამგურალი“ — თ. ფაიქიძე (6),
„იბერია“ — ვ. გიგიაძე და შ. ჩომახიძე (6-6),
„ლოკომოტივი“ — დ. გოდერძიშვილი (5),
„ვიტ-ჯორჯია“ — გ. გვაზავა (5),
„მერანი-91“ — ს. დავითაშვილი (4),
„სიონი“ — ჯ. ჯაგიდისი (4)
თსუ — კ. წიტაიშვილი (4),
„გორდა“ — ჯ. ჩუხუა (3),
„გურია“ — დ. მახარაძე (9).
● გატანილი 347 ბურთიდან, მასპინძლებმა შეაგდეს 214, რაც შეადგენს გატანილი გოლების 61,9%.
სტუმრებმა — 133 (38,1%).
● პირველ ტაიმში გავიდა 149 გოლი, რაც შეადგენს გატანილი ბურთების 43,3%, მეორე ნახევარში კი — 195 (56,7%).
● ჩემპიონატში აღინიშნა 6 „ჰეთ-თრიკი“ (თ. სუხიაშვილი — „კოლხეთი-1913“; თ. ტუღუში — „დინამო“ ბთ; დ. ჯანაშია — „ტორპედო“ (სტუმრად); დ. მახარაძე — „გურია“; რ. ალექსიძე და ლ. ცქიტიშვილი (ორივე „დინამო“ თბ).
დაფიქსირდა 41 „დუბლი“ („დინამო“ თბ. — 8; „კოლხეთი-1913“ — 5; „ტორპედო“ და „დილა“ — 4-4; „დინამო“ ბთ., „გურია“ და „ვიტ-ჯორჯია“ — 3-3; „ლოკომოტივი“ და „სიონი“ — 2-2, „მერანი-91“, „იბერია“, „გორდა“ და „არსენალი“ — თითო-თითო).
● დაწინაურდნენ:
მ. აშვეთია — 4 „დუბლი“; ლ. ხომერიკი, ზ. იონანიძე, ჰ. წივწივაძე და ა. კაიდარაშვილი („დილა“) — 3-3; გ. შენგელია, ე. გვასალია და დ. მახარაძე — 2-2; ტუღუში, გაძელია, მაჭუტაძე (ყველა „დინამო“ ბთ.), ქებაძე („ტორპედო“); გოდერძიშვილი, ღუდუშაური (ორივე „ლოკომოტივი“); შაკიაშვილი და ჯაგიდისი (ორივე „სიონი“); გოჩაშვილი, ნოზაძე, და დ. გვაზავა (ყველა „ვიტ-ჯორჯია“); დავითაშვილი („მერანი“), განევი („გურია“), მარეხაშვილი („დილა“), ჩუხუა („გორდა“), ჩომახიძე („იბერია“), კაკაშვილი („არსენალი“) — თითო-თითოჯერ.
● 41 „დუბლიდან“ 29 გაიტანეს შინ მოთამაშე ფეხბურთელებმა, ხოლო 12 სტუმრებმა.
● 9 ფეხბურთელმა შეასრულა „დუბლი“ „სიონთან“ შეხვედრებში. 7 ფეხბურთელმა — „იბერიასთან“; 5-მა — „გურიასთან“; 4-მა „სამგურალთან“, 3-მა „დილასთან“; 2-2-მა — „მერანთან“, „არსენალთან“, „ტორპედოსთან“ და თსუ-სთან; თითო-თითო „გორდასთან“, „კოლხეთი-1913“, „ვიტ-ჯორჯიასთან“ და „ოდიშთან“. „დინამო“ (თბ), „დინამო“ (ბთ) და „ლოკომოტივის კარში ერთ ფეხბურთელს „დუბლი“ არ ღირსებია.
● პირველი წრის შეხვედრებში მონაწილეობდა 363 ფეხბურთელი. აქედან ყველა მატჩში შეუცვლელად ითამაშა 7-მა. ესენია: ზ. ჯელაძე — „დინამო“ თბ; თ. სიჭინავა — „დინამო“ ბთ.; პ. ფეზუაშვილი — „დილა“, მ. ნაყოფია — „ოდიში“; ს. გიგიაძე — „იბერია“; მ. სახვაძე — „გორდა“ და გ. შეყრილაძე — „ტორპედო“.
● ყველაზე მეტი ფეხბურთელი ათამაშა ზუგდიდის „ოდიშმა“ — 28; „იბერიამ“ — 26; „სიონმა“ და „დინამო“ თბ — 25-25. ყველაზე ნაკლები — „მერანი-91“-მა — 19; „ტორპედომ“ და „დილამ“ — 20-20.
● სტუმრად ყველაზე მეტი ქულა აიღეს: „დინამო“ თბ. — 17; „ტორპედომ“ — 16; „ლოკომოტივმა“ — 14; „არსენალმა“ — 11; „დინამო“ ბთ. და „დილამ“ — 9-9 ქულა. ყველაზე ნაკლები კი — „გურიამ“ — 1 ქულა; „სიონმა“ — 3; „სამგურალმა“ და „კოლხეთი-1913-მა“ — 5-5 ქულა. სტუმრად ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს: „ტორპედომ“ — 18; „დინამო“ თბ — 13; „იბერიამ“ — 11; „ლოკომოტივმა“ და „კოლხეთი-1913“-მა — 10-10 ბურთი. ყველაზე ნაკლები კი „სიონმა“ და „ოდიშმა“ — 4-4, „თსუ“-მ და „გურიამ“ — 5-5.
● სტუმრად ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს:



მ. აშვეთიამ — 6; დ. ჯანაშიამ — 5; დ. გოდერძიშვილმა და ა. კაიდარაშვილმა — 4-4; ჰ. წივწივაძემ, გ. გვასალიამ, თ. ტუღუშმა, ლ. ნოზაძემ, ს. დავითაშვილმა, ლ. ცქიტიშვილმა, დ. მახარაძემ, ა. კაკაშვილმა და ზ. ზირაქიშვილმა — 3-3 ბურთი.
● პირველ წრეში დაფიქსირდა 29 დიდი ანგარიშით მოგება. („დინამო“ თბ — 8; „ტორპედო“ — 5; „კოლხეთი“ — 4; „დინამო“ ბთ, „ლოკომოტივი“, „იბერია“ — 2-2; „სიონი“, „ვიტ-ჯორჯია“, „თსუ“, „დილა“, „არსენალი“ და „მერანი-91“ — თითო.
● პირველ წრეში დანიშნულია 45 პენალტი (რეალიზებულია 35, რაც შეადგენს 77%-ს). ყველაზე მეტი პენალტი დაარტყეს: „ტორპედომ“ — 5 (რეალიზებულია 5). 4-4 — „ოდიშმა“ (რეალიზებულია 4), „სამგურალმა“ (3), „იბერიამ“ (3), „გურიამ“ (1).
ყველაზე მეტი პენალტი დაურტყეს:
6-6 — „იბერიას“ (რეალიზებულია 5), „ოდიშს“ (3), 4-4 „მერანს“ (4), „ვიტ-ჯორჯიას“ (3), „დილას“ (2).
არც ერთი პენალტი არ დანიშნულა „ლოკომოტივისა“ და „გურიის“ კარში.
პენალტი გაიტანეს:
ზ. იონანიძემ — 5-დან 5.
ზ. ენდელაძემ („ოდიში“) — 4-დან 4.
თ. ტუღუშმა („დინამო“ ბთ) — 3-დან 3.
თ. ფაიქიძემ (სამგურალი“) — 4-დან 3.
● მეკარეები:
ჩემპიონატის პირველ წრეში მონაწილეობდა 35 მეკარე. ერთი კარის დარაჯით ითამაშა ზუგდიდის „ოდიშმა“ (მ. ნაყოფია).
3-3 მეკარე ათამაშეს: „ტორპედომ“ (ასლანიძე, ჰანტურია, მამარდაშვილი); „იბერიამ“ (ლაბაძე, ჩაჩუა, დოლიძე); „თსუ“-მ (ნიკურაძე, გაბელია, ბათიაშვილი); „გორდამ“ (ბედიაშვილი, მებურიშვილი, მ. ქორიძე).
● ყველაზე მეტი ბურთი გაუშვეს:
მ. ნაყოფია („ოდიში“) — 25 გოლი (საშუალოდ ერთ მატჩში 1,6)
გ. გოგუა („გურია“) — 24 ბურთი (საშუალოდ 2,4)
ნ. დალაქიშვილი („სიონი“) — 23 ბურთი (საშუალოდ 2,5)
ზ. ქვაჩახია („კოლხეთი-1913“) — 23 ბურთი (საშუალოდ 1,53 ბურთი)
თ. ჩლაიძე („არსენალი“) — 21 ბურთი (საშუალოდ 1,75)
ზ. სტურუა („სამგურალი“) — 18 ბურთი (საშუალოდ 2,25)
დ. მდივანი („დილა“) — 18 ბურთი (საშუალოდ 1,38) ს. ჭურაძე („ვიტ-ჯორჯია“) — 17 ბურთი (საშუალოდ 1,13).
● ყველაზე ნაკლები გოლები გაუშვეს (საშუალოდ)
1). დ. ჯანელიძე („ლოკომოტივი“) — ჩატარებულ 14 მატჩში 6 ბურთი, რაც საშუალოდ ერთ მატჩში შეადგენს 0,42-ს.
2). გ. ჰანტურია („ტორპედო“) — 6 მატჩში — 3 ბურთი (0,5).
3). მ. მალაყმაძე („დინამო“ ბთ) — 7 მატჩში 4 ბურთი (0,57).
4). დ. გვარამაძე („დინამო“ თბ) — 12 მატჩში 7 ბურთი (0,58).
5). დ. ასლანიძე („ტორპედო“) — 9 მატჩში — 8 ბურთი (0,88).
6). ი. ბათიაშვილი (თსუ) — 9 მატჩში 8 ბურთი.
7). გ. ლომაია („მერანი-91“) — 8 მატჩში — 8 (1,0).
● „მშრალად“ შეინახეს თავიანთი კარი შემდეგმა მეკარეებმა:
დ. ჯანელიძე („ლოკომოტივი“) — 9 მატჩში,
დ. გვარამაძე („დინამო“ თბ.) — 6,
ზ. ქვაჩახია („კოლხეთი-1913“), მ. ქორიძე („გორდა“), თ. ჩლაიძე („არსენალი“), და გ. ლომაია („მერანი-91“) — 5-5 მატჩში.

**ანგარიშები:**
● პირველ წრეში დაფიქსირდა 20 სხვადასხვა ანგარიში. ყველაზე პოპულარულია 1-0, 21 მატჩში დაფიქსირდა. 0-0 დაფიქსირდა 17-ჯერ; 2-1 — 15-ჯერ; 1-1 — 10-ჯერ; 3-1 — 9-ჯერ, 4-0 — 8-ჯერ; 3-0 — 7-ჯერ; 2-0 — 6-ჯერ; 5-1 — 5-ჯერ; 4-1 — 4-ჯერ; 2-2 და 4-4 — 3-3-ჯერ; 3-2, 3-3 და 6-1 — 2-2-ჯერ; 4-3, 7-1, 7-2, 8-1 და 5-2 — თითო-ჯერ.

**მსაჯები**
● პირველ წრეს მოემსახურა 8 ქალაქის 14 არბიტრი: 6 — თბილისის, 2 — ქუთაისის, თითო — ზუგდიდის, ქარელის, სურამის, გორის, ხონისა და ლანჩხუთის.
● ყველაზე მეტი მატჩი იმსაჯეს: მ. მალაღურაძემ (თბილისი) — 13, თ. ლაცაბიძემ (სურამი) და ა. შილაკაძემ (თბილისი) — 12-12; ლ. ფანიაშვილმა (თბილისი), ს. კვარაცხელიამ (ზუგდიდი), გ. ასკარ-ოღლიმ (ქარელი), ო. გუნთაძემ (ლანჩხუთი) — 11-11; თ. ლორთქიფანიძემ (თბილისი) — 10; ს. კახიანმა (თბილისი) — 8; პ. დოგრაშვილმა (ქუთაისი), ა. შალამბერიძემ (ქუთაისი) და თ. მაჭარაძემ (ხონი) — 6-6-ჯერ. ლ. რაზმაძემ (გორი) და ე. სილაგავამ (თბილისი) — თითო-თითო.
● ის 45 პენალტი დანიშნეს: ლ. ფანიაშვილმა — 7; მ. მალაღურაძემ და გ. ასკარ-ოღლიმ — 6-6; თ. ლორთქიფანიძემ და ა. შილაკაძემ — 5-5; თ. ლაცაბიძემ — 3; თ. მაჭარაძემ, ა. შალამბერიძემ, პ. დოგრაშვილმა, ო. გუნთაძემ და ს. კვარაცხელიამ — 2-2; ს. კახიანმა, ე. სილაგავამ და ლ. რაზმაძემ — თითო.
● პირველ წრეში ის 16 ფეხბურთელი გაძევეს: ლ. ფანიაშვილმა (თბილისი) — 4 ფეხბურთელი; მ. მალაღურაძემ (თბილისი) — 3; თ. ლორთქიფანიძემ (თბილისი) — 3; ს. კვარაცხელიამ (ზუგდიდი) — 2; ა. შილაკაძემ (თბილისი); პ. დოგრაშვილმა (ქუთაისი); თ. მაჭარაძემ (ხონი), ა. შალამბერიძემ (ქუთაისი) — თითო.
*გაფრთხილებების* მხრივ „ლიდერობენ“:
მ. მალაღურაძე — 33; თ. ლორთქიფანიძე და ს. კვარაცხელია — 30-30; ლ. ფანიაშვილი და ო. გუნთაძე — 29-29; გ. ასკარ-ოღლი — 27; ა. შილაკაძე და თ. ლაცაბიძე — 25-25; ს. კახიანი — 22; ა. შალამბერიძე — 14; თ. მაჭარაძე — 12; პ. დოგრაშვილი — 10; ე. სილაგავა — 3; ლ. რაზმაძე — 1.

**უდისციპლინოები**
● პირველ წრეში მსაჯებმა 16 წითელის გარდა ფეხბურთელებს „აუფრიალეს“ 290 ყვითელი ბარათი.
ყველაზე „უხეში“ ტური იყო IV, 32 ფეხბურთელი გააფრთხილეს და 4 გააძევეს.
ყველაზე „უხეში“ მატჩი კი — „დილა“ — „კოლხეთი-1913“ შეხვედრა, სადაც გაფრთხილებულია 8 ფეხბურთელი და ერთიც გააძევეს.
● უდისციპლინო გუნდებია:
„სამგურალი“ — 31 გაფრთხილება და 1 გაძევება.
„ოდიში“ — 28 გაფრთხილება და 1 გაძევება;
„არსენალი“ — 27 გაფრთხილება და 1 გაძევება;
„ვიტ-ჯორჯია“ — 24 გაფრთხილება და 2 გაძევება;
„ლოკომოტივი“ — 22 გაფრთხილება.
„მერანი-91“ — 19 გაფრთხილება და 1 გაძევება.
„დილა“ — 18 გაფრთხილება და 3 გაძევება.
● *ფეხბურთელებიდან ყველაზე უდისციპლინოებია:*
დავითიძე — „მერანი-91“; რუსია — „დინამო“ ბთ; ჰელიძე და ფრანგიშვილი (ორივე — „სამგურალი“) — 5-5. ჯანაშია — („ტორპედო“, ბალაშვილი — „ლოკომოტივი“ გ. გვაზავა („ვიტ-ჯორჯია) — 4-4. ხოლო: მენთეშაშვილი („ვიტ-ჯორჯია“), ბარქაია („ოდიში), გველესიანი („არსენალი“) და ფაიქიძე („სამგურალი) — 3-3 გაფრთხილება და თითო-თითო გაძევება.

**ვეფხვია ჯალაღონია,**
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი.

---

### ისევ ველოსიპედზე

„გვჭირდება კი ველოსიპედის გამოგონება? ანუ იმის შესახებ, ქართულ ფეხბურთში როგორ ჯიუტობს დრომოჭმული და ფეხს ითრევს სიახლეები...“ — ასეთი სათაურით და ქვესათაურით დაიბეჭდა „ლელოს“ წინა ნომერში ჩემი პოლემიკური წერილი. მისი დედააზრი შემდეგში მდგომარეობდა: საქართველოს შიდასაჭიდრო გათამაშებების (ჩემპიონატი, თასი) დებულებები შესაბამისობაშია მოსაყვანი. „მარტივად რომ ვთქვათ, თუ ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში მსაჯი გალახე, ქულებს დაგაკლებენ, აი სათასო შეხვედრაში კი, სულო და გულო, ცემე რამდენიც გინდა, გუნდის პასუხისმგებლობა არსადაა გათვალისწინებული.“

როგორც ეტყობა, წერილში გამოთქმულმა მოსაზრებებმა ფეხბურთის სპეციალისტთა ნაწილში ერთგვარად გაღიზიანება გამოიწვია. მათ საყურადღებოდ მინდა განვაცხადო, რომ ზემომოყვანილი მასალა არ ისახავდა მიზნად ვინმეს გაქილიკებას და მხოლოდ ქართული ფეხბურთის შემდგომ ბედზე ზრუნვითაა დაწერილი. აქვე, ბოდიში მინდა მოვუხადო ახალგაზრდა არბიტრს ლევან ფანიაშვილს მისი გვარის უნებლიედ მოხსენიებისათვის.

გორში, „დილა“ — ბათუმის „დინამოს“ მატჩი ქუთაისელმა ავთანდილ შალამბერიძემ იმსაჯა.

**ჯემალ ჯიკაშვილი**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

**ჩემპიონთა ლიგა „B“ ჯგუფი გალათასარაი (თურქეთი) – იუვენტუსი (იტალია) 1-1**


ნიკოლო ამორუზო

0-1 ამორუზო (76), 1-1 სუათ ქაია (90).

პოლიტიკური მოტივების გამო გადატანილი მატჩი დაძაბული გამოდგა. ალესანდრო დელ პიეროს ტრავმა იტალიელებისთვის აუნაზღაურებელი დანაკარგი გამოდგა. მართალია „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ მის ნაცვლად ფილიპო ინძაგის ზინედინ ზიდანი დაახმარა, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მართალია, იტალიელებმა პირველებმა გახსნეს ანგარიში (ზიდანის ბრწყინვალე პასი ნიკოლო ამორუზომ ოსტატურად გამოიყენა), მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე თურქებმა მინც შეძლეს საპასუხო გოლის გატანა (საჯარიმოთი გათამაშებული კომბინაციის შემდეგ სუათ ქაიამ თავურით ლამაზი გოლი შეაგდო).

ამრიგად „B“ ჯგუფში უკანასკნელი ტურის წინ შეიქმნა სიტუაცია, როცა „იუვენტუსს“ მეოთხედფინალში გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი დარჩა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| რუსენბორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| იუვენტუსი | 5 | 0 | 5 | 0 | 5-5 | 5 |
| ატლეტიკი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |

## ესპანეთსაც სურს ევროპის ჩემპიონატის ჩატარება

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ უეფას ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ჩატარების ოფიციალური განაცხადი გაუგზავნა. იგივე განაცხადი კარგა ხანია უკვე მიღებულია პორტუგალიისაგან, იგივე, ოღონდ ერთობლივი – უნგრეთისა და ავსტრიისაგან. მიიჩნევენ, რომ არც ერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს ესპანელების სერიოზულ კონკურენტად. უეფა მოითხოვს, რომ ქვეყანას, რომელსაც ასეთი პრეტენზია აქვს, სულ ცოტა, 8 შესაფერისი სტადიონი უნდა ჰქონდეს, ესპანეთს კი ასეთი 15 აქვს, მათ შორის „ნოუ კამპი“ და „მონტჟუიკი“ ბარსელონაში, „სანტიაგო ბერნაბეუ“ და „ვისენტე კალდერონი“ მადრიდში, „სანმამესი“ ბილბაოში, „რიასორი“ ლა-კორუნიაში, „ლოს კარბენოსი“ გრანადაში, „ნუევო მუნისიპალი“ ოვიედოში, „სონ მოისი“ პალმა-დე-მალიორკაში, „ანუეტა“ სან-სებასტიანში, „კარტუხა“ სევილიაში, „მესტალია“ ვალენსიაში, „სორილია“ ვალიადოლიდში, „ბალაიდოსი“ ვიგოსა და „რომარედა“ სარაგოსაში. ამ სტადიონების საერთო ტევადობა 83707-ია, საშუალო ტევადობა – 45 580 მაყურებელი.

გასაგებია, რომ ასეთი მშვენიერი სტადიონები ესპანეთის არც ერთ კონკურენტს არა აქვს.

## ამერიკელებს ირანელებთან მარცხი არ ასვენებთ...

სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, როგორი მღელვარებით ელოდა საფეხბურთო (და არა მარტო იგი) სამყარო ირანი – აშშ-ს ნაკრებების მატჩს განვლილ მონდიალზე. პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე ბევრს ეგონა, რომ ის შეხვედრა ნამდვილ სასაკლაოდ იქცეოდა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და მან ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. მატჩი, როგორც ცნობილია, აზიელთა გამარჯვებით დასრულდა.

ეტყობა, იანკებს რევანშის აღება სურთ – მათ გაისად, ივნისში, ამხანაგური მატჩების გასამართად ირანის ფეხბურთელთა ნაკრები მიიწვიეს. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ირანელთა მთავარი მწვრთნელი მანსურ ფურხეიდარი კეთილგანწყობით შეხვდა მიწვევას: „საჭიროა მხოლოდ დეტალების დაზუსტება – რა თანხა დაგვიჯდება გამგზავრება, ეროვნული თუ ოლიმპიური ნაკრებით წარვსდგეთ ამერიკელთა წინაშე“.

## ლუჩესკუ სიმონის ნაცვლად

ლუიჯი სიმონიმ ჩემპონთა ლიგაში მადრიდის „რეალთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩის მოგების მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო მილანის „ინტერის“ მწვრთნელის პოსტის შენარჩუნება. ვის აღარ ასახელებდნენ მის შემცვლელად, ლაპარაკი იყო ფაბიო კაპელოზეც, არჩევანი კი მაინც რამდენადმე მოულოდნელი აღმოჩნდა – სიმონის ნაცვლად, მწვრთნელად მიწვეულია ცნობილი რუმინელი სპეციალისტი მირჩა ლუჩესკუ. მან „ინტერი“ სატურნირო ცხრილის შუაგულიდან ლიდერთა რიგებში უნდა დააწინაუროს.







# XX საუკუნის სნაიპერი მეკარეები?

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მეოცე საუკუნის საუკეთესო მეკარე – სნაიპერების სია.

პირველ ადგილზე 38 გატანილი გოლით გავიდა ხოსე ლუის ჩილავერტი (პარაგვაი), მეორეა მექსიკელი ხორხე კამპოსი (35 გოლი), მესამე კი რენე იგიტა (კოლუმბია, 33 გოლი).

მხედველობაშია მხოლოდ ის გოლები, რომლებიც მეკარეებმა ოფიციალურ მატჩებში – ეროვნული ჩემპიონატების უმაღლეს დივიზიონში, საერთაშორისო ტურნირებში ან ნაკრებების შეხვედრებში გაიტანეს. როგორც ცნობილია, ჩილავერტი კამპოსი და იგიტა ახლაც განაგრძობენ თამაშს, საუკუნის დამთავრებამდე კიდევ რჩება დრო, ისე რომ, სნაიპერ მეკარეთა მონაცემები შეიძლება კიდევაც შეიცვალოს. მარტო წლეულს ჩილავერტმა 8 გოლი გაიტანა, აქედან 5 პენალტით, 1 – საჯარიმოთი, 2 კი უშუალოდ თამაშში.

*სურათებზე: ზევით მარცხნივ – ჩილავერტი,მარჯვნივ – კამპოსი; ქვევით – იგიტა*

## კუფურის გადაბირება სურს

მადრიდის „რეალის“ წარმომადგენელი – ხუან მარტინეს პირი ესწრებოდა ჩემპიონთა ლიგის მატჩს „ბარსელონასა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის. მისი მიზანი იყო „ბაიერნისა“ და განის ნაკრების ცენტრალური მცველის, 22 წლის სემუელ კუფურის თამაშისათვის თვალყური ედევნებინა. საქმე ის არის, რომ კუფური „რეალს“ კარგა ხანია მოსწონს. მისი სახით ხედავენ ფერნანდო იეროს კარგ შემცვლელს. ამავე დროს, ისიც ცნობილი გახდა, რომ „ბაიერნი“ განელ მცველს დიდ ფასს დაადებს, მაგრამ „რეალს“ ხომ ფული არასოდეს უჭირდა.

## პროტესტის ნიშნად არ ითამაშებს

როგორც განთქმულმა მეკარემ ხოსე ლუის ჩილავერტმა განაცხადა, იგი თამაშს არ აპირებს ამერიკის თასზე, რომელიც მომავალ ზაფხულში სწორედ მის სამშობლოში – პარაგვაიში გაიმართება.

ამის მიზეზად ჩილავერტმა ის დაასახელა, რომ ჩემპიონატის ორგკომიტეტში შეიყვანეს გენერალი ლინო სესარ ოვიედო, რომელსაც მეკარე თავის პირად მტრად თვლის. ჩილავერტმა თავის საჯარო გამოსვლებში არაერთხელ უწოდა ოვიედოს პარაგვაიში დემოკრატიის „ჩამხრჩობი“.

– მე არ მინდა რაიმე საერთო მქონდეს ადამიანთან, რომელმაც სახელმწიფო გადატრიალებაში მიიღო მონაწილეობა. ეს ჩემი ცხოვრების პრინციპია, რომელზედაც არასოდეს ავიღებ ხელს.

## „ვერსადაც ვერ წავა!“ და... წავიდა

დანიის ნაკრების თავდამსხმელს, მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ გმირს ბრაიან ლაუდრუპს ძალიან არ მოსწონს ლონდონის „ჩელსი“ და მშობლიურ „კოპენჰაგენში“ გადასვლას აპირებს. მას შემდეგ, რაც „გლაზგო რეინჯერსიდან“ ლონდონში გადმოვიდა, დანიელს არ გამოუვიდა ურთიერთობა „ჩელსის“ ხელმძღვანელობასთან. ამიტომ, ძირითად შემადგენლობაში იგი თითქმის არც კი თამაშობს. 29 წლის თავდამსხმელმა არაერთხელ გააკრიტიკა „ჩელსის“ სასელექციო პოლიტიკა; მაგრამ მას, რა თქმა უნდა, გუნდის მწვრთნელები არ ეთანხმებიან.

კლუბის დირექტორ-აღმასრულებელმა კოლინ ჰათჩინსონმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ლაუდრუპი ჩვენგან ვერსად ვერ წავა“.

„ჩელსის“ მაინც მოუხდა გადაწყვეტილების შეცვლა. როგორც „კოპენჰაგენის“ მენეჯერმა ფლემინგ ესტერგოსმა განაცხადა, „ჩელსი“ ლაუდრუპისთვის 1 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. „კოპენჰაგენთან“ 29 წლის ლაუდრუპს ორწელიწადნახევრიან კონტრაქტს დაუდებენ.

● **იტალიელი** საფეხბურთო ფუნქციონერი ანტონიო მატარეზე ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის დავალებით იმყოფებოდა იაპონიასა და კორეაში. მისი მიზანი იყო იმის შემოწმება, თუ როგორ ემზადებიან ეს ქვეყნები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატისათვის, რომლის ჩატარებაც იკისრეს. მატარეზე შეხვდა იაპონიისა და სამხრეთ კორეის პრემიერ-მინისტრებს, დაათვალიერა ის ქალაქები, სადაც მატჩები უნდა ჩატარდეს.

მატარეზეს ერთი საკითხიც უნდა გამოერკვია – რამდენად მზად არის ჩრდილოეთ კორეა მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩის ჩასატარებლად. ფხენიანში ვიზიტის შემდეგ იტალიელი ძლიერ დაეჭვდა, რომ ამ მხრივ ჩრდ. კორეაში რაიმე გაკეთდება.

● **განთქმული** ესპანელი ფეხბურთელი ფერნანდო იერო, რომელმაც ტრავმა მიიღო მადრიდის „რეალისა“ და „ალავესის“ კალენდარულ მატჩში, მკურნალობას დაახლოებით სამ კვირას მოუნდა. საყურადღებოა, რომ სეზონის დაწყებიდან ეს მისი მეორე დაშავება იყო.

იეროს იმედი აქვს, რომ მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ნაკრების მატჩში იტალიელების წინააღმდეგ.

● **როგორც** მილანის „ინტერის“ პრესსამსახურმა დაადასტურა, კლუბს მოლაპარაკება აქვს ინგლისის ჩემპიონ „არსენალთან“ ნიგერიელი ნვანკო კანუს დათმობის შესახებ. ვარაუდობენ, რომ „არსენალის“ ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი „ინტერს“ კანუში 4,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს შესთავაზებს. „ინტერს“ კი სხვა პირობა აქვს – როგორც კი ახლანდელი სეზონი დამთავრდება, 22 წლის კანუ ისევ იტალიურ კლუბს უნდა დაუბრუნდეს. კანუს გარდა, „არსენალმა“ უკვე შეიძინა 19 წლის ფრანგი ნახევარმცველი ვილი ჰუკი, რომელიც არსენ ვენგერის ყოფილ კლუბ „მონაკოში“ გამოდიოდა და დიდი ყურადღებაც მიიპყრო.

● **რუსეთის** ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სოჭის „ჟემჩუჟინა“ მთელი შემადგენლობით არაბთა გაერთიანებულ საემიროებში ისვენებდა. გუნდთან არ იყო მხოლოდ მთავარი მწვრთნელი ანატოლი ბაიდაჩნი, რომელიც მშობლიურ ქალაქ მინსკში იმყოფება.

ამჟამად, ნათელი არ არის, აპირებს კი ბაიდაჩნი სოჭში დაბრუნებას თუ საერთოდ სხვა გუნდს ჩაიბარებს?

● **11 მატჩით** დისკვალიფიცირებულია „შეფილდ უენსდეის“ იტალიელი ფეხბურთელი პაოლო დი კანიო, რომელიც საერთოდ გამოირჩევა უხეშობით. ლონდონის „არსენალთან“ მატჩში მან წითელი ბარათი მიიღო, რამაც ძალიან აღაშფოთა, მსაჯს მივარდა და ხელი ჰკრა. მსაჯი დაეცა. ინგლისელი მიმომხილველების აზრით, დი კანიო შეიძლებოდა უფრო მკაცრადაც დაესაჯათ, კარგა ხნით მოეკვეთათ ფეხბურთიდან.

# პრეტენზიები კაიზერ ფრანცმა წარადგინა

**მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ფრანც ბეკენბაუერი ერთადერთი ადამიანია, რომელმაც მსოფლიო თასი ორ „ნომინაციაში“ მოიპოვა – როგორც გუნდის კაპიტანმა და როგორც მწვრთნელმა. ვის, თუარა მას უნდა წარედგინა თავისი ქვეყნის განაცხადი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე?**

ამ დღეებში კაიზერ ფრანცი ფიფას პრეზიდენტს ზეპ ბლატერს ეწვია და, როგორც იტყვიან, ხელიდან ხელში გადასცა ეს ღირსახსოვარი დოკუმენტი *(იხ. ფოტო)*. აი, რა განუცხადა ფეხბურთის ლეგენდამ, რომელიც ახლა გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზეა, ჟურნალისტებს: „უკანასკნელად მონდიალი 1974-ში ჩავატარეთ. 2006 წლისთვის გავა საკმაო დრო და ჩვენ უფლებამოსილნი ვიქნებით მესამედ ვუმასპინძლოთ მსოფლიო თასის გათამაშებას. ვიცი, ბატონი ბლატერი მხარს უჭერს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეტენზიებს ჩემპიონატის ჩატარებაზე, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ გვაშინებს“.

დიახ, გასულ კვირას ბლატერმა ფიფას საპატიო ორდენი გადასცა რა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს ნელსონ მანდელას, ოფიციალურად განაცხადა, რომ მის ქვეყანას „ძალუძს ღირსეულად უმასპინძლოს დიდ საფეხბურთო ფორუმს, მთავარია, შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურა და დაცულ იქნას უსაფრთხოება“ სწორედ


ბლატერი (მარცხნივ) და ბეკენბაუერი

ამ ფრაზის ბოლო ნაწილს ეპოტინებიან ევროპელები (გერმანიის გარდა, როგორც ცნობილია, მონდიალის ჩატარება ინგლისსაც სურს) – მათ მიაჩნიათ, რომ ამ მოთხოვნებს აფრიკელები ვერ შეასრულებენ.

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ბეკენბაუერი-ბლატერის შეხვედრაზე, კაიზერ ფრანცმა ფიფას პრეზიდენტს გადასცა გერმანიის ახალი კანცლერის გერხარდ შრედერის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ მთავრობა აუცილებლად გამოყოფს სათანადო თანხებს ბერლინსა და ლაიფციგში სტადიონების მოდერნიზაციისათვის – ისინი უახლესი დონის სპორტული სარბიელები გახდებიანო. გარდა ამისა, გერმანიის მთავრობა მზადაა სულ ცოტა მინიმუმ 7-8 სტადიონს კიდევ ჩაუტაროს რეკონსტრუქცია, იზრუნოს ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. კანცლერი, რომელიც ადრე, თურმე, ფეხბურთსაც თამაშობდა ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდში, ასეთი სიტყვებით ამთავრებს თავის წერილს: „იმედს გამოვთქვამ, რომ 2006 წელს მონდიალის გახსნის მატჩზე დავესწრები, როგორც გერმანიის მთავრობის მეთაური“.

ახლა ჯერი ფიფაზეა. ვინ იქნება მისი რჩეული, ცხადია, ჯერ უცნობია. ოფიციალური განაცხადები, გერმანიის გარდა, წარადგინეს ინგლისმა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ. როგორც „ლელო“, ამას წინათ, იტყობინებოდა, 2006 წლის მსოფლიო თასის გათამაშების ჩატარების სურვილი გამოთქვეს აგრეთვე ბრაზილიამ, ეგვიპტემ, მაროკომ. გაჩნდა ცნობები, რომ იგივე განუზრახავთ ავსტრალიას და ნიგერიას. შეგახსენებთ, რომ ფიფა ოფიციალურ განაცხადებს წლეულს, 31 დეკემბრამდე მიიღებს.

# პიტ სამპრასი: „მე შევეჩვიე პირველობას"!

ალექს კორეტჯასთან ჰანოვერში მოულოდნელი დამარცხების მიუხედავად პიტ სამპრასმა (აშშ) შეინარჩუნა წლის საუკეთესო ჩოგბურთელის წოდება და სიამოვნებით ესაუბრა ჟურნალისტებს.

● ***პიტ, როგორია დამარცხების შემდეგ ამდენი მილოცვის მიღება?***

— მე სხვადასხვანაირი გრძნობა დამეუფლა. ერთი მხრივ, ძალზე სასიამოვნოა ზედიზედ მეექვსედ მსოფლიოს პირველ ჩოგნად აღიარება. მეორე მხრივ კი ნახევარფინალში წავაგე, მე კი სეზონის სხვანაირად დამთავრებას ვფიქრობდი.

● ***მიიღეთ თუ არა მოსალოცი დეპეშა თეთრი სახლიდან?***

— არა, ახლა პრეზიდენტს სულ სხვანაირი დარდი აქვს.

● ***რითი ხსნით თქვენს ასეთ ხანგრძლივ ლიდერობას?***

— ძნელია მწვერვალზე ასვლა, მაგრამ იქ დამკვიდრება კიდევ უფრო ძნელია. ეტყობა, ბევრი ჩემი წინამორბედი პირველ ადგილზე რომ აღმოჩნდა, ვერ უძლებდა ფსიქოლოგიურ დაძაბულობას. მე კი ლიდერის როლში თავს კომფორტულად ვგრძნობ. უკვე შევეჩვიე პირველობას.

● ***რამდენად ახლო ხართ მარსელო რიოსთან?***

— ჩვენ მხოლოდ ვესალმებით ერთმანეთს. ეტყობა, ენობრივი ჯებირი გვიშლის ხელს. გარდა ამისა, სჩანს, მარსელო ძალზე მორიდებულია.

● ***სხვა ჩოგბურთელებთან ასეთივე ურთიერთობა გაქვთ?***

— არა, რატომ. მე არა ვარ საათობით ლაპარაკის მოყვარული, მაგრამ ურთიერთობას არ გავურბივარ.

● ***მსოფლიოს პირველი ჩოგანი 1974-78 წლებში ჯიმი კონორსი, რომლის რეკორდსაც გადააჭარბეთ, თქვენი კერპი იყო?***

— მას, როგორც ჩოგბურთელს, დიდ პატივს ვცემდი. სამუდამოდ დამამახსოვრდა კონორსის შეხვედრა ივან ლენდლთან აშშ-ს ღია პირველობის ფინალში. ამასთან, არასოდეს მინდოდა ჯიმისათვის მიმებაძა. ჩვენ ძალიან სხვადასხვანაირი ადამიანები ვართ. რაც შეეხება თამაშის სტილს, მე ბავშვობიდან ძალიან მიზიდავდა როდ ლეივერისა და კენ როზუოლის მატჩები. მათი კლასიკური მანერა: „მოწოდება – ბადესთან გასვლა" ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

● ***რამდენიმე წლის წინ, როცა აშშ-ს ღია პირველობაზე დამარცხდით, განაცხადეთ, რომ დიდი სიამოვნებით მოგეხსნათ. ამაზე კონორსმა განაცხადა, რომ არ ესმის მოთამაშისა, რომელსაც წაგება მოსწონს. გახსოვთ ეს შემთხვევა?***

— დიახ. ჯიმის არასოდეს უჭირდა შეფასების მიცემა. მაგრამ იმას, რომ მე კონორსის რეკორდი მოვხსენი, მოდით, ნუ განვიხილავთ, როგორც რევანშის აღებას.

● ***თქვენ ინახავთ თქვენი საუკეთესო მატჩების ვიდეოჩანაწერებს?***

— რა თქმა უნდა. თუ არა ეს, რაღა მექნება მოსაგონებლად ჩოგბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ.

● ***თქვენ ერთხელ თქვით, რომ იმიტომ ცხოვრობთ, რათა ჩოგბურთი ითამაშოთ.***

— არასოდეს ამის მსგავსი არაფერი მითქვამს. ჩოგბურთი ჩემი პროფესიაა, ხელობაა, რომლითაც სერიოზულად ვსაქმიანობ. ამასთან, ცხოვრებაში ხომ ბევრი რამ საინტერესო არის. იმედი მაქვს, როცა თამაშს დავამთავრებ, რაიმე ჩემთვის შესაფერის საქმეს მოვნახავ.




● ***28 წლის ჰოლანდიელმა ეკო ელტინგმა ორი კვირის წინათ დაამთავრა თავისი კარიერა, როგორც მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელმა წყვილთა თამაშში. თქვენ ხომ არ აპირებთ მიბაძოთ მას?***

— ამაზე არც ვიფიქრებ. მე მიყვარს ჩოგბურთის თამაში, მიყვარს შეჯიბრება. ჩემთვის აუცილებელია მიზნის დასახვა, ხოლო შემდეგ მისი მიღწევისათვის ბრძოლა.

● ***ხომ არ აპირებთ თქვენც გახდეთ საუკეთესო წყვილთა თამაშში?***

— ეს, ეტყობა, არ მოხდება. მე ელტინგი არ მიმაჩნია მხოლოდამხოლოდ წყვილთა შორის მოთამაშედ, არამედ, ვთვლი საერთოდ კარგ ჩოგბურთელად, რომელმაც, უბრალოდ, აქცენტი წყვილებზე აიღო.

● ***არ გაგიკვირდათ, რომ ჰანოვერში ამერიკულ პრესას მხოლოდ ერთი ჟურნალისტი წარმოადგენდა?***

— ჩემი აზრით, აშშ-ის ღია ჩემპიონატის შემდეგ ამერიკაში ცოტას წერენ ჩოგბურთზე. ეს უცნაური ამბავია.

● ***თქვენ თვითონ მიგაჩნიათ თავი მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელად?***

— ძნელი სათქმელია, 6 წლის განმავლობაში მწვერვალზე ყოფნა ძალიან ძნელია. იმ ჩოგბურთელებმა, რომლებმაც ეს გამოსცადეს, კარგად იციან, რასაც ვლაპარაკობ. ჩემი მიღწევა, ეტყობა, შესაძლოა სამუდამო იყოს, მაგრამ მე არასოდეს არ ვიტყვი, რომ პლანეტის საუკეთესო მოთამაშე ვარ. დაე, ჩემზე, ჩემმა რეკორდმა ილაპარაკოს.

● ***თქვენ „დიდი მუზარადის" ტურნირებში 11 გამარჯვება მოიპოვეთ, ერთით ნაკლები, ვიდრე ავსტრალიელმა როი ემერსონმა. აპირებთ მისი რეკორდის მოხსნას?***

— მე იგი არ მავიწყდება, მაგრამ რაც უფრო ხანში შევდივარ, სულ უფრო მიჭირს „დიდი მუზარადის" ტურნირების მოგება. წლეულს ამ მხრივ უიმბლდონმა „მიხსნა". სწორედ მას შემდეგ დავრწმუნდი, რომ შემიძლია მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელის წოდების შენარჩუნება.

● ***ასეთი კითხვა თქვენთვის ბევრჯერ მოუციათ, მაგრამ იგი კვლავინდებურად აქტუალურია. შეძლებთ კი როდესმე საფრანგეთის ღია ჩემპიონატში გამარჯვებას?***

— ეს ჩემი ოცნებაა, მაგრამ მე არ შემიძლია მთელი იმედის ერთ, თუნდაც დიდ ტურნირზე დამყარება. შევეცდები „როლან გაროსის" წინ კარგი საბრძოლო მზადყოფნა მქონდეს. იმედი მაქვს, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ამას მოვახერხებ კიდეც. ჩემი უახლოესი ამოცანა ავსტრალიის ღია ჩემპიონატია.

● ***რეიტინგის პირველ ათეულში ამჟამად 2 ამერიკელი, 2 ესპანელი და 2 ინგლისელია. ვინ მიგაჩნიათ თქვენს მთავარ მეტოქედ მომავალ სეზონში?***

— არ ვიცი. ჩემი აზრით, მომავალ სეზონში ეს ათეული დიდად არ შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, მე დღეისათვის პირველ 50 ჩოგბურთელში ვერ ვხედავ ისეთებს, რომლებიც უახლოეს მომავალში ათეულში შევლენ.

● ***სად აპირებთ არდადეგების გატარებას?***

— ეს არდადეგები ისე უნდა დავგეგმო, რომ კარგად დასვენებაც მოვასწრო და ავსტრალიის ღია პირველობისათვის მზადებაც. 2-3 კვირას ზღვის პირას გავატარებ, გოლფს ვითამაშებ, შემდეგ კი ვარჯიშს დავიწყებ.

● ***თქვენ დიდი ხანია ATR-ს ტურნირების შეკვეცას მოითხოვთ. გქონდათ თუ არა ამის შესახებ საუბარი ტურნირების დირექტორ-განმკარგულებელ მარკ მაილზთან?***

— მქონდა, მაგრამ ახლა არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

● ***2000 წლიდან მოყოლებული მსოფლიო ჩემპიონატები სხვადასხვა ქალაქში ჩატარდება. ითამაშებთ აზიაში ან ბრაზილიაში.***

— ადგილების შეცვლა ჩემპიონატს უფრო საინტერესოს გახდის.

# სამარცხვინო მატჩების სერიის სამარცხვინო ეპილოგი



კალათბურთი ● ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი

**შესარჩევი მატჩი. „E" ჯგუფი**

თურქეთი – საქართველო 103:60 (43:26).

***თურქეთი:*** ენე (3), ოქური (4), ერდენაი (15), დალი (8), ნარიჯა, ქუთლუი (8), თურქჯანი (19), თუნჩერი (17), ბეშოქი (12), თურქოღლუ (9),.

***საქართველო:*** ჩხეიძე (18), ულენტი (5), ვ. ნაცვლიშვილი (6), გ. ნაცვლიშვილი, გაგნიძე, ბოისა (4), ჯაფარიძე (14), მაისურაძე (2), ოთიურიძე (11).

***მსაჯები:*** ბიტონი (ისრაელი), ლეპეტჩიჩი (იუგოსლავია).

თქმა არ უნდა, წაგებას ამ მატჩში ველოდით, მაგრამ ასეთ განადგურებას, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. ბურსაში თურქებმა კალათბურთის ყველა კომპონენტში დაგვჯაბნეს. მიზეზების ძებნა შორს წაგვიყვანს და, ვფიქრობთ, ამ საქმეს უფრო კალათბურთის ფედერაციის ჩინოსნები უკეთ მოაბავენ თავს. ალბათ, დადგა დრო სერიოზული ანალიზისა...

მატჩის წინ ქართველთა მწვრთნელებს ისედაც თავსატეხი გაუჩნდათ — წინა მატჩში შვედებთან ჩხუბისათვის დისკვალიფიკაცია არ მოუხსნეს დავით ბერძენიშვილს. არადა, სწორედ მას უნდა ეთამაშა წამყვანი როლი სასტარტო ხუთეულში. ეს უკვე სერიოზული დანაკლისი იყო და ამგვარად შეიქმნა სიტუაცია, როცა ჩვენებს არათუ წარმატებაზე, დიდი ანგარიშით არწაგებაზე უნდა ეზრუნათ. სამწუხაროდ, ეს ამოცანაც ვერ შეასრულეს ქართველმა კალათბურთელებმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ფორმულა 1"-ის რაინდები

## ფარინადან ჰაკინენამდე

არ გაინტერესებთ, თუ ვინ და როდის იყო მსოფლიო ჩემპიონი, რამდენი რბოლა მოიგო ამ უკანასკნელმა და რას საქმიანობს დღეს?



**ჯუზეპე ფარინა**

1950 წლის მსოფლიო ჩემპიონი. დაიბადა 1906 წლის 30.IX. იტალიაში, გარდაიცვალა 1966 წლის 30.V ავტოავარიის შედეგად ჩამბერიში (საფრანგეთი). 33 „გრან-პრის" მონაწილე, აქედან 5-ში გაიმარჯვა.

1952 წლიდან გამოდიოდა „ფერარის" გუნდში.

**ხუან მანუელ ფანჯიო**

1951 („ალფა-რომეო") და 1954-1957 წლების მსოფლიო ჩემპიონის („მასერატი", „მერსედეს-ბენცი", „ფერარი") დაიბადა 1911 წლის 24. VI ბალსარკეში (არგენტინა), გარდაიცვალა 1955 წლის 17.VII ბუენოს აირესში. 51 „გრან-პრის" რბოლის მონაწილე, 24 გამარჯვება. არგენტინის ავტორბოლის ისტორიაში 5 მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით საუკეთესო პილოტი.





**ალბერტო ასკარი**

1952 და 1953 წლების მსოფლიო ჩემპიონი („ფერარი"). დაიბადა 1918 წლის 13.V1 მილანში, გარდაიცვალა 1955 წლის 26.V. სავარჯიშო რბოლისას მონცაში. 32 „გრან-პრის" მონაწილე, 13 გამარჯვება. შემდგომში „მასერაცის" და „ლანციას" გუნდების წევრი. გაიმარჯვა მილე-მიგლიასა და ნურბურგრინგის 1000 კმ-იან რბოლებში.

**მაიკ ჰაუთორნი**

1958 წ-ის მსოფლიო ჩემპიონი („ფერარი"). დაიბადა 1929 წ-ის 10.IV მექსბორიში (ინგლისი), გარდაიცვალა გუილფორდსა და ინგლისს შორის მომხდარ ავტოავარიაში 1982 წლის 22.X, 45 „გრან-პრის" მონაწილე, 3 გამარჯვება. „კუპერის", „ვანვალის", „მასერაცის", „ბეერემის" გუნდების წევრი. 1955 წელს გაიმარჯვა ლე მანსის 24 სთ-იან რბოლაში.





**ჯეკ ბრაბჰამი**

1959-1960 („კუპერ კლიმაქსი") და 1966 („ბრაბჰამ-რეპკო") წლების მსოფლიო ჩემპიონი დაიბადა 1926 წლის 2.IV. ჰურსტვილში (ავსტრალია). 126 „გრან-პრის" მონაწილე, 14 გამარჯვება. „ლოტუს-კლიმაქსის", „ბრაბჰამ-კლიმაქსის", „ბრაბჰამ-ფორდის" გუნდების წევრი. ამჟამად სიდნეის მახლობლად ავტო-სალონების მფლობელია, ეკუთვნის ცხვრების ფერმა და ნავების ფირმა.

**ფილ ჰილი**

1961 წლის მსოფლიო ჩემპიონი („ფერარი"). დაიბადა 1927 წლის 20.IV კალიფორნიაში. 48 „გრან-პრის" რბოლის მონაწილე, 3 გამარჯვება. გუნდები: „მასერატი", „კუპერი", „ატეესი", „ლოტუს ბეერუმი", „კუპერ-კლიმაქსი". 1958 წელს გაიმარჯვა ლე მანსის 24 სთ-იან რბოლაში, 1962-სა და 1966 წლებში კი — ნურბურგრინგის 1000 კმ-იან რბოლაში. ცხოვრობს კალიფორნიაში.



***გაგრძელება იქნება***

ჭადრაკის ამბები

# კასპაროვი – კრამნიკი 12:12

**დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების გარი კასპაროვისა და ვლადიმირ კრამნიკის შეხვედრამ ელვისებურ ჭადრაკში, რომელიც, როგორც ცნობილია, დამთავრდა 12:12.**

**მოვუსმინოთ ორივე მონაწილეს:**

● ***კმაყოფილი ხართ შედეგის? – ჰკითხეს კასპაროვს.***

– შეიძლება უარესიც ყოფილიყო. პარტიების ხარისხი ძალზე დაბალი გამოდგა. უამრავი შეცდომა დავუშვი, რაც არ მეპატიება.

● ***რითი ხსნით შეცდომებს?***

– უპირველეს ყოვლისა, საშინელი დაძაბულობით. შინ დღეში 12 პარტიაც მითამაშია და მეტიც, მაგრამ ერთია, როცა სიამოვნებისათვის თამაშობ, ხოლო სულ სხვაა ასეთი დონის ოფიციალური მატჩი. არ ვიცი, რას განიცდიდა კრამნიკი, მაგრამ მე დიდ ზეწოლას ვგრძნობდი. ამით შეიძლება ყველა ამ მძიმე შეცდომის ახსნა. ეტყობა, ერთად რომ ვიმსჯელოთ, ფიგურების მთელი კომპლექტი დავკარგე.

● ***კრამნიკს ნაკლები შეცდომები მოსდიოდა?***

– იგი უფრო მტკიცედ და საიმედოდ თამაშობდა, პარტიის შინაარსობრივ მხარეზე ნაკლებად ფიქრობდა, უსაფრთხოებას ანიჭებდა მთავარ როლს. თუმცა ცალკეული შეხვედრები, ვთქვათ, მეექვსე პარტია, ძალიან მაღალ დონეზე წარმართა. ის პარტია სრულიად დამსახურებულად წავაგე, მეტოქემ მნიშვნელოვანი სიახლე გამოიყენა.

***ვლადიმირ კრამნიკი:*** ელვისებურ პარტიას პრინციპში შეიძლება სულ სხვადასხვანაირად მიუდგე. შეიძლება შეეცადო ღრმად ითამაშო, ბევრი იფიქრო, მაშინ დროის მხრივ უპირატესობა მეტოქეს ექნება. შეიძლება, სხვანაირად, ზედაპირულად, მაგრამ სწრაფად ითამაშო. კონკრეტულ პოზიციაში მაინცდამაინც საუკეთესოს კი არ ირჩევ, არამედ, უბრალოდ, კარგ სვლას თამაშობ. მთავარია, მძიმე შეცდომა არ მოგივიდეს. ამ მატჩში მეორე გზა ავირჩიე. რაც შეეხება კასპაროვს, იგი სხვანაირად თამაშობდა, საინტერესო, ღრმა მანევრებს ეძებდა, რის გამოც დიდ დროს ხარჯავდა და მძიმე შეცდომებიც მოსდიოდა. ერთი სიტყვით, იგი უფრო შემოქმედებითად თამაშობდა, მე კი ინტუიციის იმედი მქონდა.

● ***გამოდის, რომ თქვენ უფრო ნაკლებად დაძაბული იყავით, ვიდრე კასპაროვი?***

– არა, მეც ძალიან დაძაბული ვიყავი, ძალიან მინდოდა მოგება!

● ***მოგებასთან ძალიან ახლოს იყავით, ბოლო 5 პარტიამდე ორი ქულით იყავით წინ. ასეთ პირობებში წააგეთ მეოცე პარტია, სადაც საყაიმო პოზიცია იყო.***

– დიახ, კასპაროვი ძლიერ ცაიტნოტში მოხვდა, რამაც მე უფრო ამაღელვა და ძალიან იმოქმედა, მოგებამდე რაღა რჩებოდა.

● ***ის პარტია რომ წააგეთ, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ შოკის მდგომარეობაში აღმოჩნდით.***

– ასეთი მარცხის ატანა მართლაც ძალიან ძნელია. დასასვენებელ ოთახში შევედი, მაგრამ არაფერზე ფიქრი უკვე აღარ შემეძლო, ბოლთას ვცემდი და საკუთარ თავს ვლანძღავდი. უკვე აღარ შემეძლო შემდეგი პარტიისათვის განწყობა, ისე, რომ კასპაროვმა სრულიად დამსახურებულად გაათანაბრა ანგარიში. შემეძლო წამეგო კიდეც მატჩი. ბოლოს და ბოლოს, ერთი ქულის განსხვავებით რომ დავმარცხებულიყავი, დიდი არაფერი მოხდებოდა. მაგრამ ასეთი საშინელი ნერვების წყვეტის გამო ჩემს მეტოქესაც გამოელია ძალა, ისე, რომ, საბოლოო შედეგი – 12:12, ეტყობა, კანონზომიერი იყო, კასპაროვიც ასე თვლის.

ლამაზი თასი, რომელიც გამარჯვებულისათვის იყო განკუთვნილი, არავის ერგო და სამუდამოდ მოსკოვის კაზინო „კოსმოსში" დარჩა.

## პოლგარების ოჯახური საქმე?

უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზოლტან ამბრუშმა ასეთი განცხადებით მიმართა ფიდეს ხელმძღვანელობას:

მსოფლიო ჩემპიონატში მიმდინარე ციკლის პრეტენდენტების ფინალური მატჩი არ შედგა. სიუ ჟუნი მსოფლიო ჩემპიონობის ერთადერთ კანდიდატად გამოცხადდა.

უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციას მუდმივი მოლაპარაკება ჰქონდა ლასლო პოლგართან – დების ჟუჟა, სოფია და იუდით პოლგარების მამასთან და მენეჯერთან.

ბატონმა პოლგარმა უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციის საპრეზიდენტო საბჭოს განუცხადა, რომ მას არ შეუძლია ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონის ჟუჟა პოლგარის პრეტენდენტთან მატჩში მონაწილეობის გარანტიის მიცემა. სიტუაციის გასარკვევად ფიდეს სამდივნო თვით უნდა დაუკავშირდეს მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგარს, შეიტყოს მისი პირადი და საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ.

თუკი მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ჟუჟა პოლგარი უარს იტყვის ითამაშოს პრეტენდენტთა ახლანდელ ციკლში გამარჯვებულთან, მაშინ მის მაგივრად პრეტენდენტს შეიძლება შეხვდეს იუდით პოლგარი, რომელსაც უკვე ათი წელია ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს ქალთა შორის.

მსოფლიო საჭადრაკო თანამეგობრობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხში ბრძნული გადაწყვეტილების მიღებას ვთხოვთ.

ფიდე არ აპირებს ამ გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც არ უთქვამს.



სიახლე

## გაისიდან ასეთი იქნება ფრენბურთი

*სპეციალისტთა აზრით, ამას წინათ ტოკიოში ჩატარებულ ფივბ-ს (ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია) კონგრესზე მიღებული ფრენბურთში ქულების აღრიცხვის პრინციპულად ახალი სისტემა საგრძნობლად გაზრდის ამ პოპულარული თამაშისადმი მაყურებელთა და ტელევიზიის ინტერესს. ამიერიდან საფრენბურთო ორთაბრძოლებში ანგარიში შეიცვლება ყოველი გათამაშებული ბურთის შემდეგ. ხელს იგებს გუნდი, რომელმაც 25 ქულა დააგროვა (თუ ანგარიში გახდა 25:24, მაშინ ერთ-ერთმა მხარემ ზედიზედ ორი ქულა უნდა აიღოს). ოთხი ხელის შემდეგ თანაბარი პარტიების შემთხვევაში (2:2) ინიშნება ტაი-ბრეკი 15 მოგებულ ქულამდე, მაგრამ გამარჯვებულს კვლავ ორქულიანი უპირატესობა გამოავლენს.*

*ახალი სისტემა ძალაში შევა მერმისს 1 იანვრიდან ფივბ-ს ეგიდით გამართულ ყველა შეჯიბრებაზე. ეროვნულმა ფედერაციებმა 2000 წლის 1 ივნისიდან ეს სიახლე უნდა დანერგონ თავიანთ შიდა შეჯიბრებაში.*

*კონგრესზე კიდევ აღიძრა, ეგრეთ წოდებული, სექს-კონტროლის საკითხი. ფედერაციის სამედიცინო კომისიის მდივანმა ენი პეიტავინმა მოუწოდა ყველას მიბაძონ საფრანგეთის ფედერაციას, რომელმაც ქვეყნის ფრენბურთელ ქალთა ნაკრების მოთამაშეებს მსოფლიო ჩემპიონატის წინ ჩაუტარა ასეთი ტესტები.*

# რა ხდება ქვეყანაზე

## ამერიკელებმა ღირსეულის დაფასება იციან

ჯერ წელი არ დამთავრებულა და ამერიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა ამას წინათ უკვე პატივი მიაგო წლის საუკეთესო სპორტსმენებს: მძლეოსან ქალ მერიონ ჯონსს, სამთომოთხილამურე პიკაბო სტრიტსა (ისიც ქალია) და ფრისტაილისტ ჯონი მოსლის.

ჯონსი, კალათბურთის ყოფილი ვარსკვლავია. ორი წლის წინათ სპრინტერი გახდა. წელს, მაისში ფენომენური შედეგი აჩვენა 100 მეტრზე რბენაში — 10,71 წამი, მანამდე 11 წამის „დახურდავება" მხოლოდ მისმა თანამემამულემ ფლორენს გრიფიტმა შეძლო 10 წლის წინათ — 10,45. ჯონსი მხოლოდ მიუახლოვდა რეკორდსმენს — 10,69.

სტრიტმა ნაგანოს თეთრ ოლიმპიადაზე სუპერგიგანტ-სლალომში გაიმარჯვა, იქვე, მოსლის ოქროს მედალი ერგო მოგულში.

## „მშიერი საჭადრაკო ლომები"

პოპულარულმა ჟურნალმა „როხადემ" (გერმანია) თავისი ბიბლიოთეკის სერიაში გამოსცა ოსტატ ჰელმუტ ვიტეკის წიგნი „ჭადრაკის ახალი ვარსკვლავები", რომელიც თანამედროვეობის ყველაზე უფრო ნიჭიერ ახალგაზრდა დიდოსტატების გატა კამსკის, ვესელინ ტოპალოვის, პეტრე სვიდლერის, სერგეი რუბლევსკის, ზოლტან ალმაშისა და სხვების შემოქმედებას მიეძღვნა. ავტორი არჩევს ამ მოჭადრაკეების 107 პარტიას და ახალგაზრდა დიდოსტატებს „მშიერ საჭადრაკო ლომებს" უწოდებს.

## როგორი იქნება „აზია - 98"

აზიის ქვეყნების ტრადიციული თამაშების (იგი 6-დან 20 დეკემბრამდე ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში ჩაივლის) საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თამაშები იქნება პირველი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც სპორტსმენები დოპინგ-კონტროლს გაივლიან ახალი მაღალტექნოლოგიური სპექტრომეტრით, რომლის განმასხვავებელი ნიშანთვისებაა ორგანიზმში გამოავლინოს სულ მცირე აკრძალული პრეპარატის დოზაც კი.

ამ ახალი აღჭურვილობის ძვირადღირებულობის მიუხედავად, რომელიც ნაგანოს ოლიმპიადაზე გაისინჯა წარმატებით, აზია — 98-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს რ.სირიპოლს მიაჩნია, რომ მისი გამოყენება აუცილებელია, ვინაიდან იგი საშუალებას მისცემს თამაშების მაქსიმალურად „წმინდად და სამართლიანად" ჩატარებას.

**იყიდება**

ავტომანქანა. "VOLVO-740" ძალიან კარგ მდგომარეობაში; ტელეფონი: 34-24-85. იკითხეთ დათო.

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორს თავისუფალ ჭიდაობაში გურამ სალარაძეს დედის**

**მარიამ სალარაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს გურამ სალარაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაუგრძნობს სპორტის დამსახურებულ ოსტატს გურამ სალარაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" სამძიმარს უცხადებს გამოჩენილ ფალავანს და მწვრთნელს გურამ სალარაძეს დედისგარდაცვალების გამო.**

**პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" მთავარი საბჭო თანაუგრძნობს ამავე გაერთიანების თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეს გურამ სალარაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გურამ სალარაძეს დედის გარდაცვალების გამო.**
პანაშვიდი 4, 5 XII 15 სთ; გამოსვენება 6.XII, 14 სთ. ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის ქ.) №24.



5



6







25

**თარაზულად:** 5. გერმანიის სახელით მოასპარეზე ქართველი მოჭადრაკე ქალი (ფოტო). 7. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 8. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 11. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 13. სპორტის სახეობა, 14. ქუთაისის საკალათბურთო გუნდი, 16. ახლო წარსულში „სკუადრა აძურას" ფეხბურთელი, ფორვარდი, 17. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 21. „ბარსელონას" ფეხბურთელი, 22. მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი, 23. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 26. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 27. წარსულში ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, მეკარე, 28. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. საბერძნეთის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი. 2. ახლო წარსულში შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 3. წარსულში ცნობილი შვედი ჩოგბურთელი, 4. წარსულში ცნობილი მძლეოსნის ნადეჟდა დვალიშვილის მეორე გვარი, 6. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი (ფოტო), 9. სპორტსმენების ყიდვა-გაყიდვა, 10. წარსულში გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე. 14. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში იტალიის საფეხბურთო ნაკრებში მოასპარეზე ნახევარმცველი, 15. „სკუადრა აძურას" ფეხბურთელი, ფორვარდი, 18. 60-იან წლებში ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 19. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 20. ფიფას პრეზიდენტი, 24. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 25. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელი (ფოტო).

### საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**1. ლe2! - 2. ლe5X. 1. ...მc6 2. ლa2X. 1. ...მ:d3 2. ლ:d3X. 1. ...მe4 2. d2X. 1. ...მf7 2. ლ:e6X. 1. ...მf3 2. ლe4X. 1. ...ლe4 2. de6X.**

**იყიდება**

სასწრაფოდ, 16 სართულიანის V სართულზე 3-ოთახიანი ბინა დიდი დიღომის III მ/რ-ნში, 3 აივნით, ავტოფარეხით. 7 500$. ტელ. 63-21-69, ირაკლი

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ბალბოა, 6. ბლანკო, 10. „ოსერი", 11. ბლანი, 12. შამუგია, 15. არტური, 16. ბოლიდი, 17. „მაზდა", 18. „ლანსი", 21. კოდერი, 23. „ოდენსე", 27. კარპოვი, 29. ოსაკა. 30. პლატი, 31. „ალანია", 32. ტიმანი. შვეულად: 1. მაური, 2. ტოსტაო, 3. ფლავიო, 4. სკალა, 7. „ოსკარი", 8. ქმუდა, 9. ანანდი, 13. ფრეზერი, 14. „ტორნადო", 19. „ტორესი, 20. „ქსანტი", 22. კეპკე. 24. „ბასტია", 25. „ივერია", 26. რკალი, 28. გლენი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძ... ლი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე